ბილი მწერალი იყო, მაგრამ ზაქარიას ისტორია იქ  
როდი თავდება, სადაც მას პორნიუს ათავებს: იქ მოთხ-  
რობილია, რომ პეტრეს მიუტანეს იოანე ფილოსოფო-

სის წიგნი, მან გადაათვალიერა იგი და განისხიდა ყალ-  
ბის მქნელზე. განა ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა,  
პეტრეს რომ სხვისი წასაბაძი ნაწერები არ ქონებოდა?

პორნიუს ეხება ზაქარიას ისტორიის იმ ადგილს, სა-  
დაც უკანასკნელი წერს: „პეტრემ არაჩვეულებრივი საქმე  
გააკეთა, რაზედაც ის (ზაქარია — შ. ნ.) დუმილს ამ-  
ჯობინებს“. და ფიქრობს, რომ აქ ზაქარია პეტრეს ას-  
კეტურობაზე ლაპარაკობს. ჩემს მოკამათეს არ აქვს იმის  
საბუთი, რომ ზაქარიას ისტორიის ეს ადგილი პირდაპირ  
ეხებოდეს პეტრეს ასკეტურობას, რომელიც, ყოველ შემ-  
თხვევაში, „საქმელ“ არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო.  
პორნიუს წერს, რომ ეკლესიის მიერ პეტრეს წმინდანად  
ჩათვლა ამ ასკეტური საქმის მეფხებით მოხდაო, რაც  
უსაფუძვლო მოსაზრებაა.

ზაქარიას ეს განცხადება მე არაფრის საბუთად არ  
გამომიყენებია და მხოლოდ საეგვიპტო ვეწერდი — ხომ  
არ უნდადა ამ „არჩვეულებრივ საქმეზე“ მითითებით  
ზაქარიას ისე, როგორც მოაზროვნის „საქმე“  
აღნიშნა ისეთ პირობებში, როდესაც ზაქარია, როგორც  
გარკვეული იდეოლოგის კაცია, იძულებული იყო ეს  
„საქმე“ სხვისთვის — დიონისესათვის — მიეწერა.

მოსალოდნელი იყო, რომ კრიტიკულად განწყობილი  
ავტორი შეეცდებოდა ჩემი ან ე. პონიგანის საბუთების  
დარღვევას, რომლითაც ჩვენ, ერთი მეორისაგან დამოუ-  
კიდებელი, დავადგინებ „იეროთოსის“ და იოანე ლაზის  
იდენტიფიკაცია, ე. ი. ის, რომ აქ ერთი და იგივე პიროვნე-  
ბა იყო, რომელსაც პეტრე იბერიცა და ფსევდო-ლიონი-  
სეც თავის მასწავლებლად თვლიდნენ. ამ ძირითად ამ-  
ბავს, სადაც მტკიცდებოდა პეტრე იბერის და ფსევდო-  
ლიონისეს იგივეობაც, პორნიუს რატომდაც გვერდი  
აღარა.

რამდენადაც ამ იგივეობის დამამტკიცებელი საბუთე-  
ბი ერთის მხრივ არეოპაგისტული წიგნების ტექსტებს ემ-  
ყარებოდა, ხოლო მეორეს მხრივ პეტრეს მასწავლებლის,  
იოანე ლაზის ჩანაწერებს, და ეს უკანასკნელი, როგორც  
მესამე პირიდან მომდინარე წყარო, შეიძლებოდა სადავო  
გამხდარიყო, ამდენად საჭირო იყო გადამწყვეტი საბუ-  
თი. ე. პონიგანმა ასეთი საბუთი დაინახა პეტრე იბე-  
რისა და იეროთოსის მოსახსენებელ დღეთა დავაგვირე-  
ბაში, რაც უდავოდ შეცდომას წარმოადგენდა, რადგან  
ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, თუ საქმე ლიტურ-  
გიულ საბუთზე მიდგებოდა, იოანე ლაზის და იეროთო-  
სის მოხსენიების დღის დამთხვევა, რი როგორც პეტრე  
იბერისა და ფსევდო-ლიონისეს.

ე. მ. პორნიუს, სამწუხაროდ, არ იცნობს ჩემს დე-  
ბულეებს, რომ პონიგანი არ საჭიროებდა გადამწყვეტ  
ლიტურგიულ საბუთს იეროთოსის და ეტრეს მოხსე-  
ნიებათა შესახებ, და რომ მან ამით საბაძი მისცა მის  
წინააღმდეგ ისეთი საეკლესიო ფალაგების გამოვლას,  
როგორიც იყო „მამა“ ენებერდანი. ამით სარგებლობს  
დღეს პორნიუს „პონიგან-ნუკუბიძის“ კონცეფციის წი-  
ნალმდეც, რათა არეოპაგისტული წიგნების ირგვლივ  
ბრძოლა ახალ ვითარებაში იქნას გაგრძელებული.

მაგრამ ეს ვერავის ვერ შეიყვანს შეცდომაში. მას  
შემდეგ, რაც „პონიგან-ნუკუბიძის კონცეფცია“ (პორ-  
ნიუს გამოთქმით), ე. ი. არეოპაგისტული წიგნების ავ-  
ტორად ქართული მოაზროვნის პეტრე იბერის შესახებ  
დებულმა გამოქვეყნდა, მეცნიერული მსოფლიო მას აღ-  
ტაცებით შეხვდა და იგი გამოცხადებულ იქნა „საკვირ-  
ველ აღმოჩენად“ („დეკლარაციი სიურპრენანტად“). გავი-  
და სულ ცოტა დრო და ამოძრავდა კათოლიკური ეკ-  
ლესიის მსოფლიო შტაბი, გამოცხადდა ძველი საეკ-  
ლესიო ბრძოლის ტრადიციები. არეოპაგისტის საკითხში  
მეცნიერულ სფეროებში გადავიდა საეკლესიო-დოგმა-  
ტიკურ სფეროში. 1954 წელს ეურნალ „ორიენს ქრის-  
ტიანუსში“ დაბეჭდა ამ მორაობის ლიდერის პ. ენ-  
ბერდინის წერილი „შეიძლება თუ არა პეტრე იბერის  
დიონისე არეოპაგელთან გაიგივება“, რომელმაც ტონი  
მისცა აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიათა შორის ძვე-  
ლი, დაუნერხებელი ბრძოლის განახლებას ამ საკითხზე.

პორნიუ არ მალავს ამ გარემოებას. ის წერს „მამა ენგებერდინგი ნამდვილად ამტკიცებს, რომ კიეროთეოსის მოხსენიების დღესასწაული (და მასთან დიონისესი — შ. ნ.) ბიზანტიური წარმოშობისა და იგი შემდეგ გადმოიღეს მეზობლებმა, მათ შორის მონოფიზიტებმა, რომელმაც კონტაქტში იმყოფებოდნენ ბიზანტიასთან“. ამდენად ენგებერდინგმა ბიზანტიის, ე. ი. აღმოსავლეთის ეკლესიას მონოფიზიტებთან შეთქმულება დააბრალა და ამას დაუკავშირა არეოპაგიტის პრობლემის წამოყენება. რომისა და ბიზანტიის ბრძოლის განახლების სიმწვავე იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ კათოლიკურ მეცნიერთა მობილიზაციას, ცხადია, ვ. გრიუმელიც შეუერთდა. კაცმა, რომელმაც „ჰონიგმან-ნუტუმიდის საქმეს“ „საკვირველი აღმოჩენა“ უწოდა, ხელი აიღო თავის ნათქვამზე.

იმის მაგივრად, რომ გარკვეული რამე მთავარ და გადამწყვეტ საბუთში, რომ ქართულ ენაზე დაწერილი წიგნი, რომელსაც თავდაპირველად თვითონ ავტორი პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე) უწოდებს „თეოლოგიურ საფუძვლებს“, ხოლო შემდეგში მას „მიზეზთა წიგნიც“ ეწოდა, არის მთავარი საბუთი პეტრეს იდენტურობისა, პორნიუ ჩასჭიდებია ჩახრუხადის ამბავს, რაც მე არა თუ გადამწყვეტ, არამედ საერთოდ საბუთადაც არ გამოიყენება.

პორნიუ იცნობს ჩემს გადამწყვეტ საბუთს, თუმცა საგნებით ვერ ერკვევა მასში. შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ მას, როგორც ის წერს, სხვებმა წაუკითხეს ჩემი შრომა, რომელიც, თანახმად მისივე თხოვნისა, ჩვენმა ელჩმა სირიაში მ. უსკოვს გაუგზავნა.

უკვე იმ წიგნში, რომელიც ხელთ ჰქონდა პორნიუსს („ფსევდო-დიონისე არეოპაგიტის საიდუმლოება“), მითითებული მაქვს, რომ პროკლეს „ელემენტების“ ინტერპრეტირებული თარგმანი სწორედ პეტრე იბერის პირველი ნაშრომი, რომელიც მოულოდნელად ხსნის

პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისეს იგივეობას“. შემჯამებულ შრომაში (რომელსაც ჯერ კიდევ არ იცნობს ჩემი ოპონენტი) „პეტრე იბერი და ფსევდო-დიონისეს საიდუმლოება“ მე საგანგებო თავს ვუძღვე ამ საკითხს. მაგრამ იმ წიგნშიც, რომლითაც სარგებლობდა პორნიუ, ნათქვამია, რომ ავტორი წიგნისა „საღმრთო სახელთათვის“ მიზეზთა საკითხთან დაკავშირებით წერს: „ამაზე მე სხვა ადგილას ვთქვი“. ერთადერთი სხვა ადგილი არის წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“ დაწერილი პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) პირველი ნაშრომი „თეოლოგიური საფუძვლები“.

ეს ნაშრომი დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ გამოიკვია, რომ ეს ის ნაშრომია, რომელსაც დღეს ვიცნობთ „მიზეზთა წიგნის“ სახელით. პორნიუსს გაუჭირდა საქმეში გარკვევა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საკითხი მართლაც არაა ნათლად მოცემული. ჩემს უკანასკნელ მონოგრაფიაშიც, რომელიც ახლა იბეჭდება. ამ ნაშრომში თავი მოუყარე ყველაფერს, რაც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა ჩემს მიერ არეოპაგიტის შესახებ და ამას დაკურთხე რამდენიმე თავი და შემჯამებელი ვრცელი გამოკვლევა.

ფიქრობ, ამ სახით არეოპაგიტის ირგვლივ სადავო საკითხები აღარ რჩება, მაგრამ არ მგონია, რომ ამან გაანელოს ის „ცხელება“, რომლის შესახებაც ე. მ. პორნიუს მოგვასწავს. ეს რომ მოხდეს, არეოპაგისტული ძიებანი ისევ მეცნიერულ სფეროს უნდა დაუბრუნდეს.

ჩვენი მოწინააღმდეგეების მიერ არეოპაგისტის ირგვლივ კვლევა-ძიების მეცნიერულ სფეროდან საკლესიო-დოგმატიკურ სფეროში გადატანამ არ უშველა საქმეს. ძველი პრეტენდენტები და კანდიდატები ფსევდო-დიონისეს ადგილზე თავისთავად გაუჩინარდნენ, ხოლო პეტრე იბერს ძლიერი კანდიდატი, პორნიუსსავე აღიარებით, არა ჩანს, და ეს აღიერებს „დიონისურ ცხელებას“ დასავლეთის მეცნიერებაში.

## საგანდო პოეზიები

სოსა გარბი  
სუნს უკანსისსო მან  
სანო

სოსა გარბი  
(1853-1895)

### ჩემი ვაჟი

მაცდურ ქალაქს ვეღარ ვიტან,  
სიმჭიდროვეს, ხმაურს, გნასას.  
მიყვარს მთა და მალა მთიდან  
მსურს ვუსმინო დაფნის შრიასს.

ჩემი მიწის ღარიბებთან  
ახლოს მინდა გიყო ბედით.  
მიყვარს, მხიბლავს ზღვაზე მეტად  
ნაკადულის ერთი წვეთი!

არ მჭირდება, არ მსურს ოქრო,  
საბანაოდ ჰქონდეთ მდიდრებს...  
მზემ იბრწყინოს, იბოხოქროს,  
ტყე სიგრილეს გამიშლიდეს.

დე, იდინოს ოქრომ ღვარად,  
დე, დნებოდეს ალზე ბრძმედის,  
მე კი მინდა ნიავე-ქარად  
ჭალის თავზე ქროდეს მტრედი.

ტაძრის საკურთხევლისათვის  
მღვდელთმთავარი ესპანეთის,  
სვეტის საქმენადად დადის,  
სურს იპოვოს ოქროს სვეტი.

ჩემს ტაძარში მე არ ვვლავ,  
მალა ზეცას ვაპყრობ თვალებს.  
წინ რომ მიდგას საკურთხევლად  
ალგებია მოშრიადღე.

შიგ ტაძარში კოინდარის  
ნოხებია წმინდათ-წმინდა  
და მეფრქვევა ოქროს ღვარი  
მისი ცისფერ გუმბათიდან.

მღვდელიც არის ჩემს ტაძარში,  
ხელაპყრობით უხმოდ დადის  
და ლოყულობს მსოფლად მამის,  
როცა დგება განთიადი.

ნაძვის გირჩი ეტლი არი —  
ორი ჩიტი მოაქროლებს.  
ბუქნას უღლის მთებში ქარი,  
აშრილებს არყის რტოებს.

მალა კლდეზე ოცნებებმა  
გამიტაცეს... ტკბილად მძინავს,  
ფრქობს, ჩემს ტურებს რომ ეხება  
ფუტურის ფრთები პაწაწინა.

დღის ვარდისფერ შუქში გხვდავ  
ფოთლებია ცეცხლისფერი.  
თითქოს გულში აღმოცენდა  
ეს სამყარო მშვენიერი.

მალა მთიდან გადმომხახხებს  
მწყემსის ბუკი ადრინადა,  
პორიონტზე ნისლეებს გახვევს,  
მზე იელეებს თვალბრიალა.

დე, მოვიდეს წამით მკაცრი  
მღვდელთმთავარი ჩემთან თავად,  
ჩემს მზინ და დიად ტაძრის  
საკურთხევლის სანახავად.

### სუნს უკანსისსო მანსო

(1788-1844)

### მე ოხრათი ნღისა ვარ

მოყოლებული აკვნიდან დღემდე  
ჩემს მიერ განვლილ გზას შევაკეპრდი.  
მანკვირებს, მიკვირს ჩემივე ბედის,  
რამდენ ქაროშხალს დაფუხვდი მეკრდით?

გზის გაღუბვლად გაგმართე წელი,  
მომშორებოდნენ ეჭვები მწველი.  
გააფთრდა სული — გიჟი და ხელი  
და მანაც არვის დაფთმე ხელი.

და ოცდაათი გავიდა წელი.  
გავციან მიწა: მთები და ველი.  
ბრძოლაში ბევრჯერ გზა მქონდა ძნელი,  
ტანჯვა-ვაების გზა საშინელი.  
არაფერია განვლილი წელი,  
იმასთან, რასაც ხვალეიდან ველი.

თარგმან რამზა მარბინაშა.




**გაბრიელ ჯაბუაშვილი**  
მთა იგი ისევ იგივე დარჩა,  
რომ მახსოვს ჩემი ბავშვობის ხანად:  
მაისში იცვამს უჭრედეს ფარჩას,  
ზამთარში იცვლის უთეთრეს ხალათს.

მხარბებს უხლებიანს იგივე ხეები,  
მკერდიდან იმავ ნაკადებს უშვებს.  
ზამთარი თუ ზვემს ზვავთა ხელებით,  
ზაფხულში წყალულებს სწრაფად იშუშებს

ეს მხოლოდ მე ვარ, რომ შევიცვალე,  
სიჭაბუქე რომ ვაქციე სიყრმედ,  
მერე რომ ვიქმენ ჭარბავთა ცალი  
და აი, ახლა სიბერეც ვიძმე...

ის მთა კი, ისევ იგივე დარჩა,  
როგორც მახსოვს ბავშვობის ხანად.  
მაისში იცვამს უჭრედეს ფარჩას,  
ზამთარში იცვლის უთეთრეს ხალათს.




### ვახანგ გორგანელი

რას მიტყველებენ თვალები ფრთხილი,  
ანდა ფარულად რიღსთვის წუხან.  
შენ ჩაუმქრალი შუქი ხარ დილის,  
მე დარბეული ქარისგან მუხა.

გნახე და დაცხრა სულის იარა,  
ვნანობ, რომ შემხვდი ძალიან ბოლოს.  
ჩვენი ტრფიალი თვალის კი არა,  
ჩვენი გულების ბრალია მხოლოდ.

ვერ დავიკე გრძნობათა ტალღა  
და სადღაც შორი მქაბის წარი.  
ვემუდარები პატარა ზამბახს,  
რომ შენი გულის გამიღოს კარი.



### გიორგი ქავთარაძე

ვინაც პირველად ლექსი დასწერა,  
ვინაც ანთო ლექსის პატრუქი,  
ვინაც სამშობლოს ლაფვარდისფერად  
დაატრიალა ლექსის ქარ-ბუქი.

ლექსი — გულის წვა,  
სულის მოხრობა,  
ჭირსა და ლხინში გადამყვარი,  
გავრცელდა, როგორც „ვადმყოფობა“,  
მოუარჩენილი რამ სატივარი.

ასე ამხედრდა ლექსი დაფდაფად.  
გულისმა ტრფობით ნათილისმარი,  
ლექსი — ფარ-ხმალი მამა-პაპათა,  
შემმართებელი უოვედ ცისმარე.

ის ვადღებრქელოთ...  
ვინაც პირველად საქართველოში  
ვაწი ჩაჭურა რქადაგრებილი,  
მამულისათვის, ვინაც ილოცა,  
ვინც მტერს დაატყდა თავზე მეხივით.

ის ვადღებრქელოთ  
ვინაც ლექსისთვის  
დაიწვა,  
დარჩა სიტყვის ნაშუქი,  
ის ვადღებრქელოთ, მამულისათვის  
ვინაც ანთია, როგორც პატრუქი.

# ქალაქის განვითარება

ჩემს ქუთაისში ჩემს მყუდრო ქუჩას  
სულ სხვანაირი დაჰკრავს იერი:  
ცა სიმაღლიდან დაჰყურებს ყურად,  
ბეჭებფართთა და განიერი.

მაღალ-მაღალი თეთრი სახლები,  
მარჯვნივ და მარცხნივ ჩრდილი ჰადრებს.  
ბაღები — ახლად თვალგანახელი,  
ამ ქუჩის მკვიდრი მოზინადრენი.

ამ ქუჩას ვანდე თბილი კერია,  
გული ალალი, ფიქრი მართალი...  
რაც მიმდრია, რაც მიწერია,  
ამ ნაცნობ უბნით არის გამთბარი.

ჰადრებო, თქვენი შრიალი მესმის,  
რტლებს ჩემს მერეც გაშლით ნებივრად...  
თქვენზე სათუთი დავწერე ლექსი,  
თქვენს სუნთქვას ხშირად დავკვირვებოვარ.

თქვენც კაცებივით გიფეთქავთ გული,  
და შემომცქერით კვირტთა თვლებით.  
მე თქვენ სიცოცხლე გაჩუქეთ სრული, —  
ცის ნაკადებით, მზის ელვარებით...

მე თქვენ სიცოცხლე გაჩუქეთ, რათა,  
ჩემს მერეც დიდხანს, დიდხანს იხაროთ,  
და ჩემს შვილთაშვილს, ქალაქის კართან,  
სიგრილე ასვით, როგორც მთის წყაროს...

# მოზღვავედა უარი

ქუჩაში მოდის პატარა გოგო,  
ჩემი გოგონას ტოლი და სწორი,  
განათლა ქუჩა და მერე როგორ!  
მოზღვავედა ფერი უცხო და შორი...

# ბანთოღალი

აღმოსავლეთმა  
რომ ამოისუნთქა,  
ძოწულივით გააღვივა  
ზეცის კაბადონი...  
და მთაზე  
ნადვის ხე  
ისე გამოცურდა,  
როგორც ესტრადაზე  
ვინმე ქალბატონი...

თმებგაწეწილი მორბის ღრუბელი,  
მწვერვალზე ცური გაუფატრია.  
აღბათ, ამიტომ წვიმდა წუხელი  
და დაუსველდა აპრილს მანტია.

ამიტომ იყო შეუწყვეტილი  
მეხის ტეხა და ელვის კვესება...  
ვარდს შერჩენია წვიმის წვეთები  
და ოქროსხივი ეალერსება.

გადაიქუხა ზეცამ წუხელი,  
შეიშრიალა ახლა ვენახმა...  
მზე ამობრწყინდა, რომ ის ღრუბელი  
თმებგაწეწილი აღარ მენახა...



# ქალაქის განვითარება



ეს იყო ზაფხულში, ხუთი წლის წინათ. ალაუნის პირას შემოღობულნი, პო-  
ლიონტრე მუქად გამოჩნდა კავკასიონის თეთრფაფანებიანი ქედი. გაუ-  
ვიძეს ალაუნისპირა სოფლებმა. საკოლმეურნეო ხოდაბუნებში პურის შკა  
მიდიოდა, გუგუნებდნენ კომბაინები. ვენახებში კი ხოჭობივით დასრიალბ-  
დნენ პატარა ტრაქტორები და გოგირდს აფრქვევდნენ ვაზს.  
ჩუმლაყის კალინიის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ვლადი-  
მერ ოსოვილი უკვე მინდორში იყო. მისი მანქანა ხან ზვრებში გამჩინდე-  
ბოდა, ხან ყანებში. დილიდანვე ამოწმებდა სამუშაოთა ყველა უბანს. ძლივს  
მივუწარი სადღეში. იმ წელს კოლმეურნეობას სადღედაც პირველი მო-  
სავალი — სამასი ათასი საძირე მასალა უნდა მიეღო და ოსოვილი ვერ სცილ-  
დებოდა იქაურობას.

შუახანის წარმოსადეგი კაცი იყო ვლადიმერი. სერიოზულად, თითქმის  
შუბლშეკრული შემოხვდა. ეტყობოდა გული კიდევ სხვაგან ჰქონდა და ჩა-  
რობდა.

— წუთითაც არ გავაცდენო, — ვუთხარი, — გზადაგზა ვისაუბროთ.  
თქვენ თქვენი საქმე აკეთეთ, მე ჩემსას გავაკეთებ.

— სიტყვაძუნწი არა ვარ, რომ ორიოდ სიტყვა დაგაყვედროთ! — მით-  
ხრა და გაეღიმა, — მით უმეტეს ძალიან მიყვარს ჩემი კუთხე, ჩემი სოფე-  
ლი.

უცებ შეიცვალა ვლადიმერი. შუბლი გაეხსნა, გაეხსნა გულიც და ნაფიქრ-  
ნატანჯი გადამიშალა.

იგი ჩუმლაყში დაიბადა, ჩუმლაყშივე გაიზარდა. სამამულო ომის მძიმე  
წლებში თავმჯდომარედ აირჩიეს და თითქმის ოც წელიწადს ხელმძღვანელობ-  
და კოლმეურნეობას. ის ვენახის თვითეულ ვაზს იცნობდა, იცოდა რომელ  
ვაზს რა ძალა ჰქონდა, როგორი მოვლა სჭირდებოდა. კარგად იცოდა, რომ  
კოლმეურნეობის შემოსავლის მთავარ წყაროს უჭრდენი იძლეოდა. ჩუმლაყს  
კი მაშინ, როცა ოსოვილი კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდგა, ვენახები ნაკ-  
ლებად ჰქონდა. გლეხების უმრავლესობაც ღარიბად ცხოვრობდა.

თავმჯდომარის პირველი საზრუნავი ვენახის გაშენება შეიქნა. ვაზმა  
ბარაქა დასდო გლეხკაცის შრომას. ნელ-ნელა სული მოითქვა სოფელმა.  
ხალხი ქოხებიდან გამოვიდა, ჩუმლაყი ელექტრონით განათდა, რადიომ აახ-  
მიანა, მინდვრებს კომბაინები, ტრაქტორები, ავტომანქანები შეეხიენ, და უო-  
ველივე ამის სულისჩამდგმელი ვლადიმერ ოსოვილი იყო. მისი ხელმძღვა-  
ნელობის დროს კოლმეურნეობა სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მრავალ-  
გზის მონაწილე იყო მაღალი მოსავლისათვის, ხარისხოვანი უჭრდენისათვის, მე-  
აბრეშუმეობაში წარმატებისათვის, მარცვლეულის უხვი მოსავლისათვის, რის  
გამოც თავმჯდომარის მკერდი ლენინის ორდენმა და ოქროს ვარსკვლავმა  
დამშვენა.

წელს შემოდგომაზე ისევ ვინახულე ჩუმლაყი. სოფელი უკვე ხეხილის  
ბაღებში ზის. კაკლებსა და თუთის ხეებში მოჩანს კრამიტით დახურული ორ-  
სართულიანი სახლები.

თავმჯდომარედ ახლა სხვა არის. ისიც ამ კუთხის შვილია, ვლადიმერ უტი-  
აშვილი, სამამულო ომის მონაწილე, გურჯაანში პარტიულ სამუშაოზე გამო-  
ბრძნული მუშაკი.

უტიაშვილი სინანულით იგონებს ოსოვილს და საუბარში ხშირად ახსენებს  
მას — ჩუმლაყის აღორძინებას იმან ჩაუყარა საძირკველიო.

უტიაშვილს მაგალითებიც მოჰყავს:

ამთავრებენ სოფლის კულტურის სახლს, მაღლა აწილულა მისი კედლები.  
ბრწყინავენ ფანჯრები და სადარბაზო კარები — კულტურის სახლის საძირ-  
კველი ოსოვილია ამოაშენა. ამ საძირკველზე ახლა შენობა ააგეს.

— კარგად დაწყებულ საქმეს განვაგრძობთ, — თავმდაბლად და მოკრძა-  
ლებით ამბობს უტიაშვილი, — ის მე უმცროს მეგობრად მთვლიდა. მას უყ-  
ვარდა თავისი სოფელი და ცდილობდა მისთვის რაც შეიძლება მეტი გაეკ-  
თებინა. მეც ამას ვცდილობ.

სოფელი ძველთაგანვე უწყლობით იყო შეწუხებული. შორიდან ეწიდებოდ-  
ნენ წყალს. წყაროებს ეძებდნენ, რომ სოფელში შეეყვანათ. მაგრამ შორს  
იყო ცივგამბორის კალთებზე მოჩხრიალე ნაკადულები და ისევ არტეზიული  
ქები ამოიყვანეს. ამის მოთავე ოსოვილი იყო. ეშველა სოფელს მაშინ, მაგ-  
რამ ის, რაც გუშინ საკმარისი იყო, დღეს ვეღარ აკმაყოფილებს ხალხის მოთ-  
ხოვნილებებს. მით უმეტეს ახალი ბაღები გაშენდა. მეტი წყალია საჭირო.  
ისევ ალაუნის ველს მიადგნენ. შვიდ კილომეტრზე წყალსადენი გამოჰყავთ,  
რომ ჩუმლაყს ახალი წყაროები ჰქონდეს.

ახალი თავმჯდომარისა და ჩუმლაყელი კოლმეურნეების საქმიანობაში  
კვლავ წინსვლა ჩანს.

უკანასკნელ სამ წელიწადში კოლმეურნეობის ზვრები ასი ჰექტარით გა-  
იზარდა. ახლა მთელი კოლმეურნეობის ერთი მთავარი მიზანი ისაა, რომ შეი-  
წილდეს ბოლოსათვის გეგმით გათვალისწინებული ექვსასი ჰექტარი ვენახი  
ჰქონდეთ. ამას უზრუნველყოფს მათი თავდადებული შრომა და საკუთარი  
სადედე მეურნეობა, რომელიც კოლმეურნეობას ყოველწლიურად ნახევარ მი-  
ლიონზე მეტ ლერწმს აძლევს.

წლებადგება მოსავალმა სოფელი გაახარა, ვენახის თვითეული ჰექტარი-  
დან 87 ცენტნერი უჭრდენი მიიღეს და 1.200 ტონა უჭრდენის ნაცვლად სახელ-  
მწიფოს 1.800 ტონამდე უჭრდენი მიჰყიდეს. გარდა ამისა, გურჯაანის ტერი-  
ტორიულ სამმართველოში შეძვეალ სოფლებიდან ჩუმლაყელებმა ყველაზე მე-  
ტი მარცვლეული მოიწიეს.

ჩუმლაყელი კოლმეურნეები კარგად დაწყებულ საქმეს ღირსეულად განა-  
გრძობენ. მტკიცე საძირკველი ჩაყრილია, ახალი კედლების შენება გრძელდება.



ექიმმა ახელ სიკინაუამ ყურნალ „დროშის“ რედაქციის კარები შეღო.

ეს კი შოთა იამანიძეა. რაცა ფეხბურთელს ხედავ მოედნის გარეთ, მწვანე მოედანი ცოცხლდება შენს თვალწინ.

...მატჩის დამთავრებას აკლია თხუთმეტი წუთი. თამაში მიმდინარეობს კიეველებს. ბობოქრობს განადგურებული მოგებით აღფრთოვანებული კიევის სტადიონი.

...თბილისის დინამოს კაპიტანი შოთა იამანიძე, ტრავმირებული სათადარიგო სკამზე წის და ნერვიულობს. არავინ ელის მის გამოჩენას. და აი, შოთა ისევ მოედნისა მწვანე მოედანს. მაშინვე აკეთებს მისთვის ჩვეულ ღრმა რიედს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნისაკენ, ცრუ მოძრაობით გვერდს უვლის მოწინააღმდეგის დაცვას და გარბის საჯარიმო მოედნისაკენ. გუნდის კაპიტანი რიედს გოლით ავირგვინებს. ანგარიში გათანაბრდა, გადარჩენ თბილისელები წაგებას, — აცხადებს გულდაწყვეტილი კიეველი დიქტორი, და ამ წუთში თბილისში შევებით ამოისუნთქა ფეხბურთის ათასობით გულშემატკივარმა.

დღეს „დროშის“ საპატიო სტუმარია: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი სესილია თაყაიშვილი. იგი რა ხანია, შეიყვარა და თავისად გაიხადა მასურბებელმა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში, რაც ეკრანზე გამოჩნდა ფილმი — „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“, სიმპატიებმა სულ უფრო იმატა მსახიობის მიმართ. ამდენ ხანს

სესილია ორი შვილიშვილის ბებია ვახლდით. ახლა განა მარტო მანანასა და ნატოს ბებიაა, იგი, ზურციოს ბებიაა, თვითული მასურბების ტკბილი და სათნო ბებიაა. სესილია „დროშის“ რედაქციას „შვილიშვილთან“ ერთად ეწვია. აგერ ზურციკელა, მსახიობი სერგო ორჯონიკიძე, ეკრანზე უკვე უჩვენებენ ფილმს, ცხადია ლელავს დებუტანტი, მაგრამ კინოთეატრის წინ თავდაპირველი ხალხი სიმხნევებს მშატებს. ბებია, შვილი გაგვიმართლა, რას იტყვით — ეღუბნება იგი სესილია თაყაიშვილს.

— ვინ არის, ბიჭო, შენი ბებია? არ გავათავებ თამაში? — „ტუქსავს“ სესილია თაყაიშვილი.

1962 წლის აპრილი დაუვიწყარია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივისათვის. რუსთავის ქარხნის მუშაკებს „დგან 400“-ის სრული მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, რომელიც ეკრანში პირველად განხორციელდა, მიენიჭათ მაღალი ჯილდო: ლენინური პრემია. ამ დიდ საქმეში წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა ინჟინერს ირაკლი ყორღანიას, რომელსაც ახლა მკერდს უმშვენებს ლაურეატის ნიშანი. დღეს მან გაიცნო ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო ლაურეატი, პიანისტი ელისო ვირსალაძე. ლაურეატებს ბევრი რამ აღმოაჩნდათ სალაპარაკო. ერთიც და მეორეც სულ მალე გაემგზავრებიან ამერი-

# საქართველოში

ახალწლის დილას, შუადღეს თუ ღამეს, რამდენიც სახლია ჩვენს ლამაზ ქალაქში, იმდენი სიმღერა იღვრება გარეთ, რამდენიც ბავშვია, იმდენი ნაძვის ხე ანთია ღამით. ჩაუვლი ფანჯარას დახატულს ბრჭყვიალა ფერებით და იცი: იქ ახლა ნაძვის ხე კიაფობს. დგას პატარადალივით შემკობილი, ბამბის ფთილებით შეუმოსავთ მისი ტოტები. თოვლი ბარდნის ოთახში, ბაერში ბრუნავს ქათქათა ფანტელი, ვითომდა, სხვა სინარულთან ერთად, თოვლიც მოიტანა ოთახში მტკვლემ და ხალხინოდ მოსულმა ახალმა წელმა; ნაძვის ხის გარშემო ბავშვები ციკვავენ, იღბენენ ბავშვები. მაგრამ აქ ახლა სხვა სურათია: ბავშვები არ ჩანან. ნაძვის ხეს გარშემო დიდები უვლიან, უბრწყინავთ თვალელები, უცინით სახე. საოცრად ნაცნობია თვითიული მათგანი. ეს ნომ ნონაა ჭადრაკის დედოფალი — ნონა გაფრინდაშვილი, შარშან რომ ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა თავზე. დღეს ამ ქალიშვილს, შენ კი არა და, მსოფლიო იცნობს.

ფოტო ბ. თიკანაძისა



ლენინური პრემიის ლაურეატმა ინჟინერმა ირაკლი ყორღანამ დღეს ჩვენს ნაძვის ხეზე გაიცნო ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ელისო ვირსალაძე.



არ გავათავებთ თამაში? ვინ არის ბიჭო შენი ბებია? „ტუქსავს“ სესილია თაყაიშვილი „შვილიშვილს“ — ზ. ორჯონიკიძეს. — ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“.

კის შეერთებულ შტატებში. შესაძლოა მოხდეს ასეც: დღე დაემთხვეს და ირაკლი ყორღანა დაეწროს თანამემამულის კონცერტს ამერიკაში.

ნაძვის ხეზე არც შოთა მსოფლიო მარტო. 81 დეკემბრის შემდეგ ცალად იშვიათად თუ ნახავთ საღმე (ფეხბურთის მოედნის გარდა). 1962 წელი იმითაც იყო ღირსშესანიშნავი შოთასათვის, რომ ოქროს უღელი დაიდგა მხრებზე. მედლით ელგუჯა ცინცაძე შოთა იამანიძეს მეუღლითურთ რჭაწითელის გასახიზჯად ლენინგორში ემატიებდა. ელგუჯამ შარშან, საუკეთესო რჭაწითელის დაყენებისათვის, მედლითა კონგრესზე გაიმარჯვა. ცოტამ თუ იცის, რომ ეს ახალგაზრდა ატარებს მარჯის საათს, რომელსაც აქვს ასეთი წარწერა: „კონგრესის კონკურსში გამარჯვებულს“.

...ლიფტის კარები ხმაურით იღბა. იქიდან გამოდის ჩველი ბავშვებით დატვირთული მამაკაცი. ნუთუ ამასაც ნაძვის ხეზე მიეჩქარება?



ზოტო  
ბ. თიანათისა



— შენ აქ საიდან გაჩნდი გოგონა?  
— მე ნატო ვარ, კენჭაძე, მოვედი რომ  
მოგილოცოთ ახალი წელი. — ნატოს  
რცხვენია, წითლდება, თავს დაბლა  
ზრის, აწვალებს თითებს.


ღიბს ეკიბმა აბელ სიჭინავამ უფრანლ „დროშის“  
კარები შეადო დღეს რედაქციას შეუძლია ეწვიოს  
უველა. ვინაც 1962 წელს თავი რამეში გამოიჩი-  
ნა. აბელი დარწმუნებულია, რომ იგი ღირსია იუოს  
ნადვის ხის სტუმარი

იმ მშვენიერ დღეს, როცა ცაში ორი კოსმიუ-  
რი შევარდენი აფრინდა, აბელი სამშობიაროს წინ  
ატუზულიყო. ცისკენ აღებურო ხელები და ღმერთს  
ევედრებოდა, აკმაროს ქალიშვილები. შესძინოს ვა-  
ტი მის მეუღლეს. განა დასაძრახია ან ჭასამტყუა-  
ნი, კაცმა რომ ცოსმოსის ეპოქაში ინატროს ბიჭი?  
აბელსაც სურს მისმა ბიჭებმა ცაში ინავარდონ და  
მათი გმირობის ამბავი მოეფინოს კაცობრიობას,  
და აი თითქო ისმინა ღმერთმა მისი მუღარა. იმ  
დღეს, როცა ნიკოლაევი და სპოოფიჩი ცაში აიჭრ-  
ნენ, აბელს ოჯახში ორი მემკვიდრე მიემატა. ტუუ-  
პი ბიჭები განა სახელის ძებნა საჭირო იყო? ან-  
დრო და პავლე დაარქვა კოსმონავტების საპატივ-  
ცემლოდ გმირებმა მეორე დღესვე შეიტყვეს ეს  
და სეხნიებს შემოუთვალეს: სულ მალე ისინი ინა-  
ხულტებენ პატარა ანდროსა და პავლეს.

ვინ არის ეს კაცი. ნონას რომ ჭადრაკს ეთამა-  
შება? ფიშერი? ტალი? თუ...

ეს ჩვენი დათოა დათო სეფიაშვილი, უფრანლ  
„დროშის“ ტექნიკური რედაქტორი. თანამშრომელ-

მეღვინე ელგარა ცინცაძე შოთა ია-  
მანიძეს მეუღლეთურთ რეპორაჟის  
გასახინჯად ლენინგორში ებატებება.



თა შორის „უბუცესი“ თორმეტი წლის წინათ მის  
ხელში იშვა უფრანლ „დროშა“

გარდა იმისა, რომ დღეს იგი მასპინძელია და  
მოვალეა ნადვის ხის ზეიმს დაესწროს. ახვა  
უფლებითაც სარგებლობს: 1962 წელს დავითმა  
რედაქციაში გამართულ შაშის ჩემპიონატში პირვე-  
ლი ადგილი მოიპოვა ამით გათამამებული ჭადრა-  
კშიაც ცდის ბედს.

შენ აქ საიდან გაჩნდი გოგონა?

— მე ნატო ვარ, კენჭაძე, ვაჭობე ჩემს  
ძმას, წელს თორმეტი ლექსი და ხუთი სიმღერა  
ვისწავლე. მოვედი, რომ მოგილოცოთ ახალი წე-  
ლი გემრავლი ნადვის ხის გარშემო ჩემპიონები,  
ლაურეატები, უკეთესთა უკეთესები. — ნატოს  
რცხვენია, წითლდება, თავს დაბლა ზრის, აწვა-  
ლებს თითებს.

ოთახში თოვლი ბარდნის, თითქოსდა სალხინოდ  
ქოსულმა ახალმა წელმა თოვლიც მოიტანა

რამდენიც სახლია ახალ წელს თბილისში, იმდენი  
სიმღერა იღვრება გარეთ. რამდენიც ბავშვია,  
იმდენი ნადვის ზე ანთა ღამით



1962 წელს დავით სეფიაშვილმა რე-  
დაქციაში გამართულ შაშის ჩემპი-  
ონატში პირველი ადგილი მოიპოვა.  
ამით გათამამებულმა ნონასთანაც გა-  
ბედა თამაში და... რასაკვირველია,  
წააგო.



ქართული  
გრაფიკა

დივანბეგის აუზი ბუნარაში.

მ ი ლ ა



გიგო გაბაშვილი ქართული რეალისტური მხატვრობის დიდი ოსტატია მხატვრის მიერ ფერწერის იშვიათი ოსტატობითაა დახატული ძველი თბილისის ცხოვრება. — ეს იქნება „სამი მოქალაქე“, „მოლა“, თუ „წვიმის შემდეგ“ მას სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ასულდგმულბდა ის აზრი რომ ხელოვნება უნდა იყოს სინამდვილის ამსახველი რომ ხელოვნება უნდა შესძლოს ფუნქციით იქნება ეს, თუ საჭრეთელით ხალხს შეაყვაროს ცხოვრება და მომავლის რწმენა განუმტკიცოს — გარეშე ამისა ამბობდა მხატვარი.

არავითარი ხელოვნება არ კარსებობს გიორგი გაბაშვილი, მეგობრებში და ნაცნობებში გიგოდ წოდებული დაიბადა 1862 წელს ქალაქ თბილისში

1880 წელს გიგო გაბაშვილმა თბილისის რეალური სასწავლებელი დაამთავრა, მაგრამ მძიმე ეკონომიური-უსახსრობის გამო უშაღლეს სამხატვრო სასწავლებელში სწავლის გაგრძელება ვერ მოახერხა. ზოლო ექვსი წლის შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში და იქ შევიდა სამხატვრო აკადემიაში. აკადემიაში გიგო გაბაშვილი დიდი ვატაცებით და გულმოდგინებით შეუდგა მეცადინეობას განთქმული ბატალისტის ვილფანდეს კლასში აკადემიაში გაღმადგინე მეცადინეობით დიდ წარმატებებს აღწევს და მასწავლებლების ყურადღებებს და ჩილოვებს იმსახურებს მხატვარმა წარმატებით დაამთავრა პეტერბურგის სამხატვრო აკადემია და დაბრუნდა სამშობლოში, სადაც მან დიდი წარმატებები და გამარჯვებები ელოდა 1891 წელს თბილისში ეწყობა გიგო გაბაშვილის ინდივიდუალური გამოფენა, რომელმაც მხატვარს ფერწერის რეალისტი შემოქმედის სახელი დაუმიკვიდრა.

გიგო გაბაშვილი შესანიშნავად იცნობს თბილისის ბუნებას, ქალაქის ადგილებს, რაინდულ წარსულს და თავდადებულ გმირობას. ყველაფერი ეს მხატვრის შემოქმედებაში ნათელ და წარმტაც სურათებით აისახა. 1891-1898 წლებში მხატვარმა შექმნა დიდი რეალისტური ტილოები: „სამი მოქალაქე“ „წვიმის შემდეგ“ და „მოლა“.

1894 წელს სახელმწიფო მხატვარი მოგზაურობს შუა აზიაში და იქიდან ჩამოაქვს რამდენიმე საინტერესო ჩანახატი. შემდეგ მხატვარმა ეს ჩანახატები, ეტიუდები და აკვარელები გამოიყენა დიდი ტილოს „ბაზარის სიმარყანდის“ შესაქმნელად. 1899 წელს გიგო გაბაშვილი მიემგზავრება გერმანიაში და შედის მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში. აქ მხატვრის შემოქმედებითი ჰორიზონტი კიდევ უფრო ფართოვდება მიუნხენში გ. გაბაშვილი შეხვდა მსოფლიოში ცნობილ ბატალისტს ფ. რუბოს. მიუნხენში მხატვარი ეცნობა ი. რეპინის სურათების გამოფენას და რეპინის დაჩილოვებასთან დაკავშირებით წერილს უგზავნის და ულოცავს დიდ გამარჯვებას, რეპინიც გულმზურვალე წერილს უგზავნის გ. გაბაშვილის და უსურვებს შემოქმედებითი გამარჯვებებს. 1898 წელს გ. გაბაშვილმა დაამთავრა მიუნხენის სამხატვრო აკადემია და შემდეგ მიემგზავრება იტალიასა და საბერძნეთში, სადაც ეცნობა და სწავლობს მსოფლიო ხელოვნების უნიკალურ ქმნილებებს მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მხატვარმა შექმნა ტილოები: „ხევსურთა ღრეობა“, „ხევსურები დაწვერვაზე“, „მთვრალი ხევსური“, „მთელმხარე ხევსური“ „ხატობა“ და მრავალი უკვდავი ქმნილებები.

გიგო გაბაშვილის უმდიდრესმა მემკვიდრეობამ ქართულ სახვით ხელოვნებაში ისეთივე დიდი როლი შეასრულა, როგორც ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებამ ქართულ მუსიკაში და იაკობ ნიკოლაძისამ — ქანდაკებაში





## ჭეშმარიტი გაცნობები


ყოველი ახალი ფილმის დაბადება სასიხარულო მოვლენაა. მით უმეტეს კინოკომედიისა, რომელსაც ალფრედოვანებით ზვდება მაყურებელი. მაგრამ რაკი ჟინომოყვარულები და კინოკრიტიკოსები ხშირად არ არიან ამ მხრივ განებივრებულები. ამიტომაც უნდა დავიმახსოვროთ 1982 წლის დეკემბერი — ქართული ფილმის სტუდიაში თენგიზ აბულაძის ახალი კომედია „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ დაბადების თარიღი.

სიცოცხლის ხელოვნება — ერთ-ერთი ურთულესი ხელოვნებაა. მაგრამ ერთობ ძნელია ისეთი ნაწარმოების განსაზღვრა, რომელიც მაყურებელს აცინებს და ატირებს კიდეც. აიძულებს შეიყვაროს და შეიძლოს კიდეც, მერე დარბაზი დატოვოს გულწრფელი, ჭეშმარიტი გრძნობებით აღედგებულმა. გრძნობებით, რომლებიც ეკრანიდან იშვინება. როგორც საკუთარი სამყარო და საკუთარი პოეზია — ნათელი, თავისებური, გულშიჩამწვდომი.

ახლა იმაზე კამათის დრო არ არის, თუ რამდენად ახალი ფილმში დაცული უნარის სიწმინდე. ეს არცთუ ისე მნიშვნელოვანია. ზელოვნების ისტორიაში ხშირია შემთხვევა, როცა ნიჭიერი ხელოვანები გადაუჭ-

რებასთან სიხლოვემ. თენგიზ აბულაძის შემოქმედებითი მრწამსი აქედანაა გამომდინარე და ამაზე დაფუძნებული. ამავე განსაზღვრა ის გარემოება, რომ მან ხელი მოჰკიდა ნ. დუმბაძის კომედიას. თუმცა ეს უნარი, როგორც ჩანდა, თითქო არ იყო დამახასიათებელი მისი შემოქმედებისათვის, რომელიც თითქო მოწოდებული იყო მხოლოდ დაზვეწილი ფსიქოლოგიური დრამის შესაქმნელად.

აქ გადამწყვეტი როლი გაცილებით უფრო ძლიერმა ფაქტორმა ითამაშა. სოფლელი გლეხის ზურგიკელასა და მისი მოწრდილი მეგობრების უბრალო ამბავში რეჟისორმა დაინახა შესაძლებლობა ეჩვენებინა მარადიული საწყისები — კეთილი და ბოროტი, ეჩვენებინა უბრალო ადამიანების სული.



ერი სამყარო ნ. დუმბაძის კომედია წარმოადგენდა ცხოვრების კარგ, ჭეშმარიტ მასალას. წამოსახულს ხალხური ხასიათებისა და მათი წყაროების ღრმა ცოდნით, და თენგიზ აბულაძე დააინტერესა ამან.

ჩვენ არ ავადგებთ ამ რეცენზიას დამკვიდრებული წესის მიხედვით და, არ მოვუყვებით ამ ფართოდ ცნობილი კომედიის შინაარსს. მხოლოდ მოკლედ ვიტყვით, რამ გვაძიულა ეს სტატია დაგვეწყო მრავლისმარჯვებელი განცხადებით „უნდა დავიმახსოვროთ ამ ფილმის დაბადების წელი“... ვისაუბროთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

უველაზე მნიშვნელოვანია რეჟისურა. იგი უფრო მნიშვნელოვანად მაშინ გვეჩვენება, როდესაც მასში ცნობ ქართული კინემატოგრაფიის პირველი თაობის ტრადიციას. ხალხური ხასიათების ღრმა ცოდნა, რეჟისორული პალიტრის სიმდიდრე მკაცრად რეალისტურ მეთოდებთან შერწყმული —

მხატვარ გ. გიგაურის მიერ შესრულებული ესკიზები ფილმისათვის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“



რელი პრობლემების წინაშე აყენებდნენ კრიტიკას. რომელიც ამაოდ ცდილობდა არაჩვეულებრივი ნაწარმოებები კლასიფიკაციის ჩვეულებრივ ჩარჩოში ჩაესვა როგორმე. დაიხ, ახალ ქართულ კინოკომედიაში ერთიმეორის გვერდით და ერთიმეორეში შერწყმულად შეხვდებით გროტესკს, ლირიკასა და ტრაგედიას. ისევე, როგორც ეს ცხოვრებაში გვხვდება.

მთავარი ის არის, რომ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ პოეზია ეკრანზე წარმოქმნა გრძნობების სიწრფელე და ჭეშმარიტება. ხალხის ცხოვ-



სწორედ ამით დაიწყო არსებობა ქართულმა კინოხელოვნებამ. ამავე გზას ადგია დღეს თენგიზ აბულაძე.

ამ რეჟისორის შემოქმედების ხალხრობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ დაუსრულებლივ და ყველა შემთხვევაში იმიტომ, რომ ეს თვისება გამოხატვის, როგორც ხასიათებისა და მიზანსცენების გადაწყვეტაში, ტიპაჟების შერჩევაში და კადრების კომპოზიციაში, ისე ბუნების შერჩევაში — ყველაფერში, რასაც მოიცავს რეჟისორული მუშაობა. ხალხურობა იგრძნობა თვითონ ფილმის ფილოსოფიაშიც.



იმისათვის, რათა მოგვარდნით ახლადი მერს გამოყენებულ საშუალებათა სიმარადე, მოვიხსენიოთ წიგნი მათგანი:

თავლით დაფარული ტყით გასერიანება და ზურკის მერს მერსადმი სიყვარულის ახსნა, ვადა წვეტილი წმინდა ლირიკულ ფერებში.

კურდღლებზე ნადირობა — თავისუფალი, ხორც-შესხმული გროტესკი, წმინდა, ხალხურ სტილზე შესრულებული.

ტრაგიკულად გადაწვეტილი ფრანტზე გაცილების ეპიკალი.

ოლარიონის ღვინის „მოტაცება“, გამახატული მთვარიან ღამეში მოსარავი სილუეტებით და გათამაშებული როგორც ფარსი.

დრამის, კომედიის და ტრაგედიის ნაირ-ნაირი ელემენტები თითქოს ჭურჭლიდან ჭურჭელში იღვრებინ. ახლამე მიმართავს ტონალობის საოცრად მოულოდნელ ცვლილებას და ეს ისე, რომ ხელაძ არ არღვევს ფილმის შინაგან მარშონას.

რეჟისორი მყვება ამავსე ზურკის პირით. ზურკი კი ალაღმართალი არხება, რომელიც ქვეყნიერებას ფართოდ გახეილი გაცილებული თვალდებით შესცქერის. ამიტომაც ახლამის კადრები ესოდენ ნათელი, ამიტომაც ბევრია მათში პერსპექტივა, მერსი. მოიგონეთ ხოლმის ნათელი, თითქოს ცის თავანისაქენ მიმცოცავი შარავნა, როცა იქ მიაბიჭებენ დაუფაროვნი ბავშვების ფეხები.

ო, რა მხიარული გზა იგი! მაგრამ აი, ამ გზამ ფრანტზე წაიყვანა პაწია სოფლის მამაკაცები ახალგაწვეულებით დატვირთული საბარგული თვალთ ეფარება. ერთბაშად წყდება დაუმცხრალი ხმაური და არახუნებრივად გაიფხვრულ დუმილში აპარატი იღებს გზაზე სასოწარკვეთილებით გაყინული ქალების, ბავშვებისა და მოხუცების სილუეტებს. აი რანაირია ეს სოფლის შარავნა, რომელიც ახლა ომის შარავნად ქცეულა. მერსად დაბარუნებს იგი ვინმეს მშობლიურ სოფელში?

თ. ახლამის პოეტური განზოგადება ყოველთვის ფაქტების სისწორეზე დაფუძნებული. დაიბ, მასალის დოკუმენტური საფუძველი აქლევს მას საშუალებას პოეტური განზოგადებისათვის. ეს მეთოდი განსაზღვრავს ახლამის სიმბოლიკისა და მრტაფორის ხასიათს, რომელიც მუდამ რეალურ საფუძველს ემყარება. გაცილების ეპიკალი არის ახეთი კადრებიც:

ხოფლის მუსიკონები დაუკრავენ ტრუმს, თავანთ ინსტრუმენტებს პირდაპირ შარავნის მტვერში დაურინ და გარბიან მანქანისაკენ, რათა შეუერთდნენ დანარჩენ ახალგაწვეულებს, ერთ ხანს ჩვენ ვუცქერით უპატრონოდ მრტყეხული ინსტრუმენტებს, მერს კადრებში ახმანდება მოსტაკოვიჩის მარში, რომელიც ომის მუსიკალურ სიმბოლიკად იქცევა.



ქრონოლოგი  
გიგლიოთიქა

ომის დამთავრების შემდეგ კადრებში ჩვენ ისევ ვხედავთ კოლმურსეობის სახელზე ზრკეტრს. მესაკრავენი ვეღარ დაბრუნდნენ მშობლიურ სოფელში, მაგრამ მათი ადგილი მათმა უმცროსმა ძმებმა დაიკავეს.

ახლამის მერს შექმნილი განზოგადებული სახეების პოეტოკა ერთი მიზნისკენა მიმართული — უჩვენოს ხალხის შეუდრეკელი სწრაფვა სიცოცხლისა, სიკეთისა და საკუთარი თაობის ცხოვრების გაგრძელებისაკენ. ამ ამოცანის გადაწვეტაში მას დიდად დაეხმარა ოპერატორ თ. კალატონიშვილის კარგი, დახვეწილი ნამუშევარი.

როცა ეხებით უმნიშვნელოვანეს საკითხებს ახალ ქართულ ფილმში, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი მოვლენა — თანამედროვე კინემატოგრაფიის დიდი მსახიობის აღმოჩენა. ლაპარაკია ბებიაჩ როლიის შემსრულებელ სესილია თაყაიშვილზე. ეს მხოლოდ კარგი მსახიობური ნამუშევარი და ხასიათის წარმატებით ასახვა როლია; ასე რომ ყოფილიყო, ამას აღმოჩენას არ ვუწოდებდით, ბებია თაყაიშვილის პირველი როლი არ არის

კინოში, ესაა ხალხური გულის საოცრად მართალი და განზოგადებული ხახე. თაყაიშვილი მშვენივრად გრძნობს კინოს სპეციფიკას, რომელშიაც მსახიობის გარეგნული გამოხატელობა არ უხდა გაცდეს რეალური ვითარების გამოხატელობის ზღურბლს, ამიტომაც თაყაიშვილი ცდილობს ეძიოს ოფი ხახის შინაგან ხამყაროში. ხ. თაყაიშვილის მუშაობა ბებიაჩ როლზე ცალკე, დამოუკიდებელი სტატიის თემაა.

თენგივ ახლამე ეკუთვნის ისეთი რეჟისორების რიცხვს, რომელთა შემოქმედებას დიდის იმედითა და მღელვარებით ადევნებს თვალს ჩვენი ქვეყნის საკინემატოგრაფიო საზოგადოება. დღეს ჩვენ ხიხარულს გვანიჭებს ის ამბავი, რომ ჩვენმა თანამემამულემ ჩააბარა კიდევ ერთი კეთილსინდისიერად და ნიჭიერად შესრულებული ნამუშევარი, რომელშიაც გავაცნოთ თავისი ხალხი და თავისი სიყვარული ადამიანებისადმი. ეს სახიზარულო მოვლენაა არა მარტო ჩვენთვის, ეს სახიზარულოა ყველასათვის.

კორა წირთელი  
ფოტო მ. ანდრეშკისა

კადრები ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონ“



### სიგონა სინიოკა კინოკაჟისოკაგის შესახებ

ინგლისური ჟურნალის „ფილმ ენდ ფილმინგ“-ის ფურცლებზე ცნობილი ფრანგი მსახიობი სიმონა სინიორე გვიამბობს თავის მუშაობაზე სხვადასხვა ქვეყნის სახელგანთქმულ რეჟისორებთან. აგრეთვე გვიზიარებს თავის აზრებსა და შთაბეჭდილებებს კინოხელოვნების შესახებ. ქვემოთ ვხედავთ რამდენიმე მათგანს.

„მე ძველი მოდის ფრანგი ქალი ვარ, — როცა როლს მთავანობენ, პირველ რიგში ვკითხულობ: რეჟისორი ვინ არის? ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მომხსნდა უცნობი რეჟისორის ფილმში გადაღება, და ისიც შემთხვევით: მე შემომთავაზეს ალისას როლი ფილმში „გზა მაღალი საზოგადოებისაკენ“. ჯონ ბრანის წიგნი, რა თქმა უნდა, თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებია როლია, მაგრამ ამ ფილმში მსახიობისათვის საინტერესო მასალა იყო. მაშინვე მოგაწერე ხელი კონტრაქტს, (სურათის დადგმა ივისრა პეტრ გლენვილმა), მაგრამ მერს ისე მოხდა, რომ პროდიუსორებმა იგი კლიტონს გადასცეს. მე არ ვიცნობდი კლიტონის ნამუშევრებს. ძალიან მუცუსრებოდა ისეთ რეჟისორთან მუშაობა, რომლის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ საჭმე ისე წარმართა, რომ სწორედ მასთან თანამუშევრებამ დიდი კმაყოფილება მომიანიჭა.

პირიქითაც მომხსნა. თვალსაჩინო, ჩემთვის კარგად ნაცნობ შემოქმედთან მუშაობისას იმედი გამცრუებია. მაგალითად, როცა ვმონაწილეობდი ლუსი ბიუნუელის ფილმში „სიკვდილი ბაღში“. რა თქმა უნდა, ბიუნუელი მთლად ცუდ ფილმს ვერ გააკეთებდა, მაგრამ ეს ფილმი მისთვის მაინც სუსტი იყო.

უნდა ითქვას, რომ ბიუნუელი ჯგუფში მუდამ თავის ნაცნობ და მეგობარ მსახიობებს იყვანს. როცა ფილმს აკეთებს, ერთობა კიდევ; ფილმზე მუშაობა მისთვის სიხარულია.

მას სულაც არა ჰგავს ანრი ჟორჟ კლუზო. ამ რეჟისორის მსახიობებთან მშვიდობიანი ცხოვრება არ შეუძლია. ის ყოველთვის გაღიზიანებულია, ადვილად მოსდის გული, ცხარობს, ყველა ირგვლივ მყოფს სასოწარკვეთილებში აგდებს და თვითონაც მუდამ წუხს. თანაც მოითხოვს, რომ ყველამ გაიზიაროს მისი მწუხარება. ეს მეტად მომეჩაცვლია. გარდა ამისა, კლუზოს დესპოტური ხასიათი აქვს. ის არასოდეს არავის არაფერს თხოვს — მხოლოდ უბრძანებს. აზრი არა აქვს უმტკიცოთ, რომ თქვენ სხვაგვარად გინდოდათ გაგვეკეთებინათ რაიმე, ის გიპასუხებთ: გააკეთეთ ისე, როგორც გეუბნებით და სხვა ჩაიკმინდეთ.

კლუზო არ აფასებს მსახიობს.

სულ სხვაა ქაე ბეკერი და რენუარი. მათ აღტაცებას საზღვარი არა აქვს ხოლმე, თუ მსახიობმა წარმატებას მიაღწია. ქაე ბეკერს ძალიან ცუდი მსახიობისთვისაც კი შეუძლო ეთქვა — „ეს შესანიშნავია!“ და ამ ხერხით თხუთმეტჯერ მაინც გაამეორებინებდა ერთსა და იმავე სიტყვას. ამით სასურველ შედეგს აღწევდა. „ოქროს მუშარადზე“ ჩვენ ძალიან ხალისიანად ვმუშაობდით!

მსახიობი ნდობით უნდა სარგებლობდეს და გრძნობდეს, რომ იგი რეჟისორის აინტერესებს. მსახიობისათვის იმაზე უარესი არა არის რა, თუ გრძნობს, რომ რეჟისორს არ ესმის მისი.

არა ერთხელ გამიგონია, რომ ფრანგული კინო სულ უფრო ნაკლებ რეალისტური და ცხოვრებას მოწყვეტილი ხდება, რომ ალენ რენემ, მაგალითად „ხირომის“ შემდეგ გადაიღო „შარშან ზაფხულს მარიგნადში“ და შემდეგში კომრცული ფილმის დადგმასაც კი ამირებსო. მე არ მიყვარს ფილმი „შარშან ზაფხულს მარიგნადში“, იმიტომ, რომ მიყვარს ალენ რენე. მე მიყვარს ყველაფერი, რაც მანამდე გაუკეთებია. მისი ფილმი არ მიმარჩნია ტექნიკის მიღწევად. უფრო მეტიც, ეს არის ის, რაც ჩემის აზრით, სჯობდა ამოღოთ თავისი სისტემიდან. მას მუდამ იტაცებდა მოგონებები. რენე არასოდეს არაფერს არ აკეთებს მხოლოდ იმისათვის, რომ ჰქვიანი გამოჩინდეს. სამწუხაროდ „მარიგნადი“ ისეთ მთაბეჭდილებას ასდენს, თითქოს გაკეთებული იმისათვის, რომ გააკვიროს ადამიანები. დარწმუნებული ვარ, რომ რენე არ ხელმძღვანელობდა ამ მოტივით. მას სულ არ აწუხებდა ფილმის წარმატების ბედ და ძალიან უკმაყოფილო იყო რეკლამით, რომელსაც უწევდნენ.

მამ შ არის კინოს საგანი? რას უმასურება კინემატოგრაფი? კინემატოგრაფი ეს ერთსა და იმავე დროს „ნიურნბერგის პროცესიაცაა“, „დიდი ილუზიებიც“ და „მისტერ დილა ქალაქს მიმეზაგრება“, „ოქროს მუშარადიც“ და „ჯავშნისანი პოტიომკინიც“. კინემატოგრაფიაში ყოველი თემისათვის მოიპოვება ადგილი. ზოგჯერ მხიარული დროსტრეპაც უნდა იყოს. რატომაც არა? მე მხედველობაში არა მაქვს ვულგარული, დამალი გემოვნების დროსტრეპება. უბრალოდ, ლამაზი და მხიარული.“





# მე-ქვეყნის სურათი

ადამიანის მოღვაწეობის ძირითად სფეროს არსებითად შეადგენს ენერჯის წყაროს ძიება. თუ ძველ ხანებში იგი იყენებდა პირუტყვის ძალას, ან, უკეთეს შემთხვევაში, წყლის ვარდის ენერჯიას (მეტად პრიმიტიული წესით), თანამედროვე ცივილიზაციის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული წიაღისეული სათბობის ძიებასთან. მართლაც, დღეისათვის, მიუხედავად ჰიდრო და ატომური ენერჯეტიკის ინტენსიური განვითარებისა, ენერჯის მსოფლიო მოხმარების 82 პროცენტს იძლევა ქვანახშირი, ნავთობი, გაზი და ტორფი. მაგრამ ენერჯის ხარჯის კანონზომიერების შესწავლის გზით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ წიაღისეული სათბობის მარაგი, რომელიც წარმოიშვა მილიონობით წლის წინათ და დღემდე შენარჩუნებული იქნა გეოლოგიური შემთხვევითობის წყალობით, შეიძლება დაიხარჯოს სულ რაღაც ასობდე წლის განმავლობაში. და თუმცა ატომის საუკუნე დაიწყო, ჩვენ ჯერ მაინც შორს ვართ ატომური ენერჯის ფართო გამოყენებისაგან სახალხო მეურნეობაში. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ამჟამად ისმება საკითხი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ენერჯის ახალი წყაროების, კერძოდ, მზის ენერჯის გამოყენების შესახებ.

მზის სხივების ენერჯის გარდაქმნა ენერჯის სხვა სახეობად მისი პრაქტიკული გამოყენების მიზნით წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომლისადმი კაცობრიობა აღრიდებულ იქნა ინტერესს. საკმარისია გავისხენოთ მზის სხივებით მომუშავე შედარებით და მომდერალი ქანდაკებები უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებში. მზის ენერჯის პრაქტიკულ გამოყენებაზე მუშაობდნენ შუა საუკუნეებშიც. ახალ პერიოდშიც მიმდინარეობს ინტენსიური მოღვაწეობა სამრეწველო დანიშნულების მზის დანადგარების შექმნისათვის. ამ დარგში შესანიშნავი შრომები აქვთ გენიალური მეცნიერებს ნიუტონსა და ლომონოსოვს. 1878 წელს საერთა-

შორისო გამოფენაზე პარიზში მზის ენერჯიზე მომუშავე მანქანაზე იბეჭდებოდა გაზეთი „მზე“. მანქანის წარმადობა საათში 500 ეგზეგმლარს უდრიდა. მაგრამ იმ დროს მზის ენერჯის პრაქტიკულმა გამოყენებამ ფართო გაქანება ვერ პოვა ტექნიკის ჩამორჩენილობის გამო.

სულ სხვა მდგომარეობაა დღეს. უახლესმა ტექნიკამ, ავტომატიკამ და სპეციალიზირებული მასალების გამოყენებამ შექმნა იმის პერსპექტივა, რომ მზის აპარატების ტექნიკური აღჭურვილობა და ეკონომიური მაჩვენებლები თანამედროვე ენერჯეტიკული დანადგარების დონემდე ავიყვანოთ. მზის ენერჯია შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი მასშტაბით ნებისმიერი მიზნისათვის, უშუალოდ ან მისი სხვა სახის ენერჯიად გარდაქმნის შემდეგ. ამ პრობლემის გადაწყვეტა ნიშნავს ენერჯის მუდმივ, დაუშრეტელი წყაროს შექმნას, რომელიც თავისი სიმძლავრით ათეულ ათასჯერ აღემატება დღევანდელ მოთხოვნილებებს. დედამიწის ზედაპირი მართკ 10 დღის განმავლობაში მზიდან იღებს იმდენ ენერჯიას, რამდენსაც მოგვემდგა ორგანული სათბობის დღემდე ცნობილი მსოფლიო მარაგის დაწვა. ამით აიხსნება ის დიდი ყურადღება, რომელსაც ამ პრობლემისადმი დღეს იჩენენ მეცნიერთა ძალები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

როგორია მზის ენერჯის გამოყენების პრაქტიკული გზები? რა პრინციპზე მუშაობენ მზის დანადგარები? ჯერ ერთი, არსებობს რამდენიმე პრინციპი, იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულებისაა მზის აპარატი. ცნობილია, რომ მზის ენერჯია შედარებით დაბალი კონცენტრირებისაა, ვიდრე, ვთქვათ, ორგანული სათბობი, ან, მით უმეტეს, ატომური ენერჯია. მაგალითად, საქართველოში მზიან დღეს ერთ კვადრატულ მეტრზე საათში 700-800 კილოკალორია სითბო მოდის. თუ მზის დანადგარი გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის (ცხელი წყლის მიღება, შენობების გათბობა-გაგრილება და სხვა), ამ შემთხვევაში დანადგარში მოხ-

დება მზის სხივების შთანთქმა შავ ზედაპირზე და მისი გარდაქმნა სითბოდ.

უფრო მაღალი პოტენციალის ენერჯის მისაღებად საჭიროა მზის სხივების კონცენტრირება მისი სველითი ინტენსიურობის გაზრდის მიზნით. ეს ხდება ამრეკლავი ზედაპირების ან ლინზების მეშვეობით. ამ შემთხვევაში სრულიად საკმარისია საშუალო სიზუსტის, შედარებით იაფი და დასამზადებლად იოლი ამრეკლავი საშუალებები.

თუ გვჭირდება მაღალი ტემპერატურის მიღება, მაშინ აუცილებელი ხდება ზუსტი ოპტიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც მოახდენენ მზის სხივების კიდევ უფრო მაღალ კონცენტრირებას. ამ პრინციპზე მომუშავე მზის ლუმენები იმდენივეა 3000-4000 გრადუს ცელსიუსით და გამოიყენებიან სპეციალური ძიელდობადი მასალების მისაღებად. მაღალტემპერატურაიანი კვლევებისა და სხვა სპეციალური დანიშნულებისათვის. ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მზის მაღალტემპერატურაიანი ლუმენების მთელი სერია ააგეს სამხედრო ორგანიზაციებმა, რომლებიც მუშაობენ სამართავ რაკეტებზე და იკვლევენ დიდი სიმჭიდროვის მქონე გამოსხივების შემოქმედებას მასალებსა და ცოცხალ ორგანიზმებზე. მზის მაღალტემპერატურაიანი ლუმენი შეუცვლელია იქ, სადაც საჭიროა ამ მასალების ტემპერატურისადმი გამძლეობის შემოწმება.

უკანასკნელ წლებში ფიზიკოსებმა გვიჩვენეს ზოგიერთი ნახევარგამტარი მასალების თვისებათა პრაქტიკული გამოყენების გზები სხივური და თბური ენერჯის ელექტროენერჯიად გარდაქმნისათვის. ამის შედეგად შეიქმნა მართკი კონსტრუქციის თერმო და ფოტოელემენტები, რომლებიც მზის სხივურ ენერჯიას უშუალოდ გარდაქმნიან ელექტროენერჯად. ეს მეტისმეტად პერსპექტიული მიმართულება პარტიის პროგრამაში საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასმულ ერთ-ერთ მთავარ პრობლემათა შორის დგას.

ძალზე მიმზიდველია მზის ენერჯის გარდაქმნის ფოტოქიმიური ხერხი. ამ შემთხვევაში სხივური ენერჯია, რომელიც იხარჯება ქიმიური რეაქციების განხორციელების დროს, შეიძლება გამოყენებულ იქნას თბური ენერჯის ან ელექტროენერჯის სახით. ეს მზის ენერჯის აკუმულაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. იგი საგრძნობლად უზენბეღყოფს ენერჯის ამ წყაროს სერიოზულ ნაკლს — მის არათანაბრობას. ფოტოქიმიური პროცესის მაგალითად შეიძლება მოყვანილი იქნას აგრეთვე ბუნებრივი ფოტოსინთეზი — სხივური ენერჯის გარდაქმნა მცენარეული ნივთიერების ქიმიურ ენერჯიად.

ამრიგად, მზის სხივური ენერჯია წარმატებით შეიძლება გარდაქმნას თბურ, მექანიკურ, ელექტრულ, ქიმიურ ენერჯიებად და შემდგომ გამოყენებულ იქნას სახალხო მეურნეობაში. საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერების, ინჟინრების, გამოგონებლების მიერ შექმნილია მზის ბევრი დანადგარი — უბრალო წყალგამთბობებიდან ურთულეს მაღალტემპერატურაიან ლუმენებამდე. ზოგიერთი მათგანი რენტაბელურია უკვე დღეს და მათ პრაქტიკული გამოყენება პოვებს.

თუ მზის ენერჯიას შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს ადამიანს, აქ, ჩვენს პლანეტაზე, ჭეშმარიტად გრანდიოზულია მისი გამოყენების პერსპექტივა კოსმოსში. ის გვიანტური სახალხო-სამეურნეო ამოცანებია, რომლებიც დღეს კაცობრიობის წინაშე დგას, შედარებით

## სკკპსსკ

გვიბენი სსსს  
ქვეყნის სსსს

ზვიგენი საოცრად გამძლე თევზია. თავმოკვეთილი ზვიგენი რამდენიმე საათი იწარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას. როგორც საბჭოთა ზოოლოგი კრეპსი ვადმოგვეცემს, მუცელ-გაზატარული ზვიგენი კარგა ხანს განაგრძობს ცურვას და თან მადიანად შეიძლება საკუთარ ცხიშს.

ზვიგენი იზვიათად ერჩის მყვინთავებს, წყლის ზედაპირზე კი მეტად გაბედული და დაუნდობელია. მრავალი შემთხვევა ყოფილა, როცა იგი მოულოდნელად დასხმია თავს წყალზე გაწოლილ ადამიანს და ელვის სისწრაფით მოუკვნიტა ფეხი.

გამძლეობასთან ერთად, ზვიგენს ზღაპრული მადაც ახასიათებს. შიმშილის დროს იგი მზად არის საკუთარ შთამომავლობას დაერიოს და დაუნდობლად გაავლოს მუსრი.

დორმუცელა ზვიგენი არავითარ სპემელს არ ერადება, ყველაფერს სიამოვნებით ყლაპავს. მის კუჭში ხშირად უნახავთ ყავისა და კაკაოს ჭილვები, საფოსტო ამანათები, თევზის კონსერვები, სათვალეები, ქვებები, მაჯისა და ჯიბის საათები, ტანსაცმელი, ლურსმნები...

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ზვიგენებმა კიდევ უფრო გაამდიდრეს

თავიანთი „მეიწუ“. მათ კუჭში აღმოჩნდა რევოლვერები, წყალქვეშა გემების ნაშხარეები, ვაზნები, ხელუხუშები...

ომის დროს ზვიგენის კუჭში იპოვეს ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზეც საიდუმლო შეფრის ამოსახსნელი გახალხი იყო დაბეჭდილი, ამ ნაპოვნმა დიდი დახმარება გაუწია ამერიკელებს წყნარი ოკეანის აუზში მოქმედების დროს.

რამდენიმე ხნის წინათ წყნარ ოკეანეში დაიჭირეს უზარმაზარი ზვიგენი, რომლის კუჭში გაქვავებულ სილაში ჩაფლული ძვირეუბური ბოთლი

ახლო მომავალში გადასაწყვეტი იქნება კოსმოსის მას-  
შტაბით. ამისათვის საჭირო იქნება ენერჯის უდიდესი  
რაოდენობა, რომელსაც ვერ მოგვეცემს ენერჯის ვერც  
ერთი აქამდე ცნობილი წყარო, გარდა მზისა. მზე ხომ  
ჯერჯერობით ერთადერთი ცნობილი „ადგილობრივი  
სათბობია“ კოსმოსში.

უკვე ამჟამად, კოსმოსის ათვისების ადრეულ ხანაში,  
მზის აპარატები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ  
კოსმიურ სომალდებზე. დედამიწის საბჭოთა და ამე-  
რიკული ხელოვნური თანამგზავრები და კოსმიური სო-  
მალდები აღჭურვილნი არიან მზის თერმო და ფოტო-  
ელემენტებით, რომლებიც ელექტროენერჯით კვებავენ  
სომალდის აპარატურას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ  
სწორედ მზის ბატარებმა უმტყუნა ამერიკელებს (ატმოს-  
ფეროში მათ მიერ ჩატარებული ატომური აფეთქების  
დროს შექმნილი რადიაციის სარტყლის მიუხეზიით) კოს-  
მიურ სომალდზე „რეიჯერ-5“, რომელიც 1962 წლის  
18 ოქტომბერს წარმატებულად იქნა გაშვებული მთავრის  
შემოსაფრენად და მასზე კონტინერის დასაშვებად.

საბჭოთა მეცნიერების თაოსნობით ამჟამად იქმნება  
მეტად პერსპექტიული დარგი ბიოლოგიაში — ბიოლო-  
გიური ფოტოენერჯეტიკა, რომელიც მთლიანად ემყარე-  
ბა მზის ენერჯის გავლენას ცოცხალი ორგანიზმების  
ცხოველმობედაზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კოს-  
მონავტების ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა მა-  
თი ხანგრძლივი ფრენის დროს. შორეული პლანეტების  
ათვისება, საიდანაც ადამიანები მხოლოდ რამდენიმე  
წლის შემდეგ შეძლებენ დედამიწაზე დაბრუნებას, შეუძ-  
ლებელია „სახლიდან“ წადებული საგზილით. საჭირო გახ-  
დება ათობით ტონა პაერი, წყალი, საკვები. ერთადერთ  
გამოსავალს მეცნიერები პოულობენ იმაში, რომ საკლა-  
ნეტაშორისო სომალდებზე შეიქმნას დედამიწაზე არ-  
სებული სიტუაციის იმიტაცია, შეიქმნას პატარა მიწე-  
ერი საწყარო ბუნებისათვის დამახასიათებელი შეუწყვე-  
ტელი ბიოლოგიური ციკლით. ეს ციკლი ხელოვნურად  
იქნება დაჩქარებული და ამ პროცესს მზის აპარატები  
უზრუნველყოფენ.

ჩვენი თაობა ბედნიერი თაობაა. ოგი მოწევა მეცნი-  
ერების ახალი, უადრესად საინტერესო დარგების შექ-  
მნის. ამჟამად ისახება კიდევ ერთი ახალი დარგი —  
კოსმოსის ენერჯეტიკა, სადაც მთავარი როლი მზის ენერ-  
ჯიამ უნდა შეასრულოს.

დიდი ფრანგი მეცნიერი ფრედერიკ ჟოლიო-კიური  
ამბობდა, რომ მზის ენერჯის გამოყენება წარმოადგენს  
უფრო მნიშვნელოვან ამოცანას, ვიდრე ატომის ენერჯის  
გამოყენება. ცხადია, ეს არ ნიშნავს ამ ორი დარგის  
დაპირისპირებას, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს  
მზის ენერჯის უადრესად პუმანური მოხანი — ადამიან-  
თა სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფი-  
ლება აქ, ჩვენს პლანეტაზე, და უსასრულო კოსმიური  
სივრცეების დაპყრობა, რაც აგრეთვე ემსახურება კა-  
ცობრიობის კეთილდღეობას.

რ. ხუნწარია,  
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

იპოვეს. ბოთლში 1948 წლით დათა-  
რიდებული ანდერძი აღმოჩნდა. ეს  
ანდერძი ერთ-ერთი დადებული ამე-  
რიკული ხომალდის კაპიტანს გაუგზა-  
ვნია თავისი მიუღილისათვის. ანდერძი  
დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც გა-  
დაეცა დადებული კაპიტანს შემკვიდ-  
რებებს. ზვიგენის კუჭში აღმოჩენილი  
ანდერძი მდიდარმა კოლექციონარმა  
შეიძინა, რომელმაც დიდი თანხა გადა-  
უხადა მის მფლობელებს.

ასეთი შემთხვევა ერთადერთი გამო-  
წველია როდია, ზვიგენის კუჭში  
ხშირად პოულობენ ბოთლებში ჩადე-  
ბულ ბარათებს, რომლებიც მეტად  
საინტერესო ამბების მაცნე ხდებიან.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ინ-

გლისური სამხედრო გემის დეკაპემა  
ზვიგენის მუცლიდან ამოიღო კოლო-  
ფში ჩაკეტილი საბუთები. ამ საბუთე-  
ბიდან ცხადი გახდა, რომ იაპონიის  
უმდიდრესი ვაჭარი მაკაკორიკი ცნო-  
ბილი მეკობრის კაპიტან გრეტიმის  
ერთ-ერთი ხელშეწყობი და თანამო-  
ნაწილე იყო. პატავციმული ვაჭარი  
მაკაკორიკი იაპონიელმა ხელისუ-  
ლებმა სახრბოებლავ ააბრძანეს.

ზვიგენებზე ნადირობა არა მარტო  
საინტერესო და სახალისოა, მას სა-  
მრეწველო მნიშვნელობაც აქვს. ზვი-  
გენისაგან მზადდება ტექნიკური ცხი-  
მი, ვიტამინიზირებული კომპონენ-  
ტები და სხვა ძვირფასი პროდუქტები.

ციალა ნიკურაძე

# ახალი ხელი?

თბილისში მცხოვრები დაუფიტრებლად  
გიპასუხებთ: 31 დეკემბრის დამის 12  
საათზე, მოსკოვში კი ერთი საათით გვი-  
ან. ეს სწორია, მაგრამ განა ყველგან  
პირველ იანვარს იწყება ახალი წელი?  
მსოფლიოში დამდენიმე ათეული კა-  
ლენდარია, სხვადასხვანაირად ხდება  
წელთაღრიცხვა და, ცხადია, ახალ წელ-  
საც სხვადასხვანაირად და სხვადასხვა  
დროს ეგვიბებია.

განვითარების დაბალ დონეზე მყოფმა  
ხალხებმა საერთოდ არ იცოდნენ ახალი

წელი, მით უმეტეს, მათ არავითარი  
წელთაღრიცხვა არ გააჩნდათ.

ცნობილი რუსი მეცნიერი მიკულუხო-  
მაკლაი, რომელმაც დიდი ხანი დაპყო  
კუნძულ ახალი გვინიის კაცობაშია ტო-  
ნებთან, მოგვითხრობს, რომ ადგილობ-  
რივი მცხოვრებლებისათვის ყოველი ახა-  
ლი წელთაღრიცხვა იწყება მუსონური  
წვიმების დასაწყისიდან, ე. ი. გაზაფ-  
ხულზე, თუმცა, როგორც ცნობილია, მუ-  
სონების მოსვლას რაიმე გარკვეული თა-  
რილი არ გააჩნია.

ძველი ეგვიპტელების ყოველი ახალი  
წელიწადი დაკავშირებული იყო ვარსკ-  
ვლავ სირიუსის გამოჩენასთან გაზაფ-  
ხულზე, როდესაც იწყებოდა ნილოსის  
ადიდება. ამ დროს ხალხი გამოეფინებო-  
და ველ-მინდვრებზე, მისარულობდა და  
ერთმანეთს ულოცავდა ახალ წელს —  
ნილოსის ადიდების დასაწყისს.

თუ თქვენ ინდოელს შეეკითხებით,  
როდის ხვდება ახალ წელს, იგი შეეკითხ-  
ვითვე მოგმართავთ „რომელ ახალ წელს  
გულისხმობთ?“ თურმე ნუ იტყვიან, ინ-  
დოეთში რამდენიმე ოფიციალური სამო-  
ქალაქო და კიდევ უფრო მეტი არაოფი-  
ციალური რელიგიური კალენდარი არსე-  
ბობს. ამიტომ სხვადასხვა კალენდრის  
მიხედვით ახალი წელიც სხვადასხვა  
დროს იწყება. მაგალითად, მზე-მთვარის  
კალენდარით ახალი წელი იწყება ხან  
21 მარტს, ხან 21 სექტემბერს, ხან 12-13  
აპრილს, ხან — 13-14 ოქტომბერს;  
„ჟიკრამ სამკატის“ კალენდარის მიხედ-  
ვით კი — 14 აპრილს.

ზოგი ხალხი ახალი წლის დღესასწა-  
ულს ბუნების რომელიმე მოვლენას ან  
მისავლის აღების პერიოდს უკავშირებს.  
ჩინეთსა და ჩრდილოეთ ვიეტნამში 17  
თებერვალს იწყება „გაზაფხულის დღე-  
სასწაული“, სამხრეთ ვიეტნამში კი ახა-  
ლი წელი ბრინჯის თესვის შემდეგ იწყე-  
ბა.

ინგლისში ახალ წელს ისე არ ხვდე-  
ბიან, როგორც ჩვენში. იქ ახალი წელი  
ორ დღეს — 1 და 2 იანვარს გრძელ-  
დება, პოლონეთში კი სახალწლო დღე-  
სასწაული 10-12 დღეს მიმდინარეობს.  
ბირთაში ახალი წელი ახალი ყველაზე  
ცხელ პერიოდს ემთხვევა და ამ დღეებ-  
ში იწყება ე. წ. „წყლის დღესასწაული“. დღესასწაულის დროს გამოყენებულია  
წყლის შესხმა-გაწუწვის ყველა საშუა-  
ლება. მხოლოდ ბერებისა და ფოსტალი-  
ონების გაწუწვა არ შეიძლება.  
ძველ რუსეთში ახალ წელს 1 სექტემ-

ბერს ეგვიბებოდნენ, ხოლო პეტრე I ბრძა-  
ნებით, 1699 წლის 31 დეკემბრიდან შე-  
მოღებული იქნა გრიგორიანული კალენ-  
დარი წლის 1 იანვრიდან აღრიცხვით.

ბიზანტიის იმპერიაში ახალი წელი 1  
მარტიდან იწყებოდა, ძველ რომში კი  
22 მარტს — გაზაფხულის ბუნიობის  
დროს. ამ დღეს რომში, წმინდა პეტრეს  
ტაძარში იკრიბებოდნენ ქურუმები. მათი  
აზრით, ღმერთი ატისი, ეგვიპტელთა  
ოსირისის მსგავსად, ყოველწლიურად  
კვდებოდა, მარტში კი მკვდრებით აღსდ-  
გებოდა. ამიტომ იყო, რომ ძველ რომში  
წელიწადი მარტით იწყებოდა და ათი  
თვისაგან შედგებოდა. შემდეგ რომაელებ-  
მა წელიწადს ორი თვე — იანვარი და  
თებერვალი დაუმატეს და მარტის წინ  
დააყენეს. ახალი წლის აღნიშვნაც იან-  
ვრიდან დაიწყო, რადგანაც ამ თვეში  
ხდებოდა რომის სახელმწიფო მოსვლე-  
ბის მიერ თანამდებობათა დაკავება. შემ-  
თხვევითი არ არის, რომ პირველ თვეს  
რომაელებმა იანვარი უწოდეს — ორ-  
სასოფანი ღმერთის იანუსის სახელი. ლა-  
თინურად იანუს ნიშნავს ყოველივეს და-  
საწყისსა და დასასრულს. ამიტომ წლის  
დასაწყის თვეს იანუარი — იანვარი შე-  
არქვეს.

ძველ საქართველოში ახალი წე-  
სექტემბრიდან იწყებოდა და სექტემბრის  
თვეს ახალწლითა ეწოდებოდა.

მუსულმანური კალენდარის პირადა-  
მასას მიხედვით ახალი წელი — ნოვრუ-  
ზი გაზაფხულის ბუნიობას, 21-22  
მარტს ემთხვევა.

ამჟამად ხალხთა შორის პოლიტიკურ-  
რი, ეკონომიური და კულტურული ურ-  
თიერთობის განვითარებას, მათმა დას-  
ლოვებამ მწვავედ დააყენა ერთგანი  
მსოფლიო კალენდარის შექმნის საკითხი.  
ჯერ კიდევ 1922 წელს ერთა ლიგაში  
შეიქმნა „კალენდრის რეფორმის საერ-  
თაშორისო კომიტეტი“, რომელმაც ახა-  
ლი კალენდარის 200 პროექტი განიხი-  
ლა. მოწონებული იქნა ახალი ინდური  
კალენდარი, რომლის შემოღება 1939  
წელს უნდოდათ, მაგრამ მეორე მსოფ-  
ლიო ომმა ამ რეფორმას ხელი შეუშა-  
ლა.

1953 და 1955 წლებში გენერალურმა  
ასამბლეამ დაადგინა, რომ ახალი კა-  
ლენდარი შემოღებულიყო 1956 წლის  
1 იანვრიდან, მაგრამ ამერიკის შეერთ-  
ებული შტატების მთავრობამ „რელიგი-  
ური მოსაზრებების“ გამო თავი შეიკავა  
ახალი კალენდარის მიღებაზე. არც 1961  
წელს მოხერხდა მისი შემოღება, ამიტომ  
ახალი მსოფლიო კალენდარის შემოღება  
განზრახულია 1967 წლის 1 იანვრიდან  
(1967 წლის 1 იანვარი კვირაა და თან-  
ხვდება ახალ წელიწადს).

ახალი მსოფლიო კალენდარის მიხედ-  
ვით წელიწადი იყოფა ოთხ კვარტალად,  
თვითელში 91 დღით ანუ 13 კვირ-  
რი თ. ყოველი კვარტალი იწყება კვი-  
რით და მთავრდება შაბათით. მასა-  
დამე, ყოველი ახალი წელი კვირადღე  
იქნება, ყოველ წელიწადს კვირის დღეებ-  
ში ერთსა და იმავე რიგებს დამთხვევა.  
წელიწადში იქნება 364 დღე, მე-365  
დღე ჩასმული იქნება 31 დეკემბერსა და  
1 იანვარს შორის და აღინიშნება რო-  
გორც ახალი წელი და ხალხთა თან-  
მეგობრობის და მშვიდობის საერთაშო-  
რისო დღე. ნაკიანი წლის დღე ჩაისმება  
II და III კვარტალებს შორის და იქნება  
ურცხვო დასვენების დღე.

ბ. ზარინა.

საბჭოთა კავშირის  
კომპარტულის  
ბიბლიოთეკა

თამაში დამთავრდა, დე ბრიტომ გასასდელში წამოყვანა. იქ ერთი ამბავი ჰქონდათ გამარჯვებისაგან გახარებულ ბიჭებს. მე გუნდის მწვრთნელ ლულასთან წარმადგინეს. მან ღიმილით მკითხა:

- მამ, ეს შენა ხარ, პელებე?
- დიას, სენიორ! — მივუხმე მე.

შემდეგ ვასკონსელოსი გამაცნეს. იგი იმ დროს ცნობილი ფეხბურთელი იყო. მერე მე მას დავემგობრდი. ვასკონსელოსი არა მარტო კარგი ფეხბურთელი, შესანიშნავი ადამიანიც აღმოჩნდა.

### მიმოხილვა „სორის“

ჩამოსვლის მესამე დღეს წვრთნაზე გავდი. თავს საოცრად ვულად ვგრძობდი: მამა ბაურში დაბრუნდა, ვალდემარმა ქალაქისკენ გასწია. გვდილობდი თავი გამეხსნევივინა. ამოდ. როცა „სანტოსის“ ფორმას ვიცვამდი, მუხლები მიკანკალებდა. ფეხბურთელები მითვალთვალებდნენ და რაღაც საშინელი სირცხვილის გრძობა მწვავდა. ძალზე მრცხველთა ჩემი გამხდარი ტანისა — მაშინ მე მხოლოდ 60 კილოს ვიწონიდი.

მოედანზე უკანასკნელი გამოვდი, მწვრთნელ ჩემი ადგილი დაგიკავე და ველოდი მწვრთნელის ბრძანებას.

საკმაო ხანს ვივარჯიშეთ. ლულამ ჯგუფებად გაგვყო და ბურთის თამაში დაგიწყეთ.

ფორმივამ მეგობრულად წამჩურჩულა:

- აბა, ყოჩაღად, ბიჭიკო!

ვილაცამ, ჩემს უკან რომ მორბოდა, შენიშნა:

- მას უკვე აქვს სახელი!

ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, რომ მე წვრთნის პირველივე წუთებში ვბრწყინავდი. ეს მთლად ასე როდია. პირველად ვერც ერთი გოლის გატანა ვერ შევძელი — „კობრებს“ შორის ყოფნა მანერველუებდა. სიმხნევე მალე დამიბრუნდა. გადაცემები უფრო და უფრო ზუსტი გამოდიოდა, კომბინაციებსაც კარგად ვაბოლოვებდი.

წვრთნა დამთავრდა. ლულამ განზე გამიხსო და მითხრა:

- ყოჩაღ, ძალიან მომეწონე, ბიჭიკო!

მე დავიბენი. ვერაფერი ვუპასუხე. მან დაუმატა:

- შენ მხოლოდ წინაში მომატება გინდა, მაშინ პირველი კლასის გუნდში ითამაშებ. ახლა კი, პაიდა, შხაბი მიიღე და დიასენე, კიდევ ვილაპარაკებთ.

გასასდელში პეპე შემოვიდა და შემომამხა:

- ყოჩაღ, პელებე!

ესა თქვა და ურუბატოსკენ მიმახედა, ურუბატო კუთხეში იდგა და თავისთვის ლაცას ღიღინებდა.

- იცნობ იმას?

- აბა რა. ეს ხომ ურუბატოა, — მივუხმე მე.

- სწორია. ახლა თუ იცი, რა თქვა მან?

მე თავი გავიქნიე. პეპემ გამიღიმა და მითხრა:

- შენ უკვე ბევრს მიეცი სალაპარაკო, რომ შენგან დიდი ფეხბურთელი დადგება. ზიტომ, დორვალმა, პაგომ და დელ ვაჩომ დაადასტურეს ეს სიტყვები. მე თავს ბედნიერად ვგრძობდი, ნამდვილ მეგობრებში მოვსვდი. როცა სან პაულუსში მისტუმრებდნენ, ყველანი მეუბნებოდნენ:

- შენ რა, „კობრებთან“ უნდა ივარჯიშო? ნახავ, ბოიკოტს გამოცხადებენ და გზას არ მოგვცემენ. ყველა დიდი გუნდი ინტრიგანების ბანდაა და მეტი არაფერი! სულ რამდენიმე დღეც და ამ სიტყვების უსაფუძვლობაში დაგვრწმუნდი. მე „სანტოსში“ თბილად მიმიღეს და ხელშეკრულებაც დამიდეს.

წვრთნას კვლავინდებურად პროფესიონალებთან განავარძობდი, თამაშით კი ჭაბუკთა გუნდში ვთამაშობდი. შემდეგ მოყვარულთა გუნდში გადამიყვანეს. ამ გუნდებში სწორედ ის „პატარა ბიჭი“ ვიყავი, მთელ თამაშს რომ ტონს აძლევდა. პირველმა გამოსვლამ მოზრდილთა გუნდში მომიწია. „ვასკო და გამას“ წინააღმდეგ შეხვედრა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. მე სამი გოლი გავიტანე. საბოლოოდ ჩვენი ქალაქის ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ეს გახლდათ 1956 წელს.

ერთ დღეს, „კობრების“ წვრთნაზე ლულამ გადაწყვიტა ჩემი თავდასხმაში დაყენება. მე ხელად ავეყვი ტემპს და დავამტაცე, რომ სწორედ წინ თამაში შეხერხებოდა. ამის შემდეგ ლულას უკან არასოდეს აღარ ვუთამაშებია. მე ყოველთვის შეტევას ვუდევდი სათავეში. მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე ხან სად ამოგყოფდი თავს და ხან სად.

„სანტოსი“ იმ დროს უკვე მომწიფებული გუნდი იყო. პროფესიონალების ძირითადი შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: მანვა, ხელკით და აივანი; რამირო, ფორმივა და ზიტო; ტიტე, ჟარიო (ან ალივარო), პაგო, ვასკონსელოსი (ან დელ ვაჩო), პეპე (ან ტიტე); ალფრატინიო (რომელსაც ხანდახან მარჯვენა ფრთაზე ტიტე ცვლიდა).

ვასკონსელოსი და დელ ვაჩო ძალიან ჭკვიანურად თამაშობდნენ, აყვავების პერიოდში იმყოფებოდნენ. მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ასეთ გუნდში უცებ ვერ დავიკავებდი სახარბილო ადგილს. მაგრამ, როცა სათამაშოდ კუბატანში ჩავდივით, ლულამ შერეული გუნდის გამოყვანა გადაწყვიტა. შეხვედრა ამხანაგური უნდა ყოფილიყო და მოწინააღმდეგეც არ იყო ისე ძლიერი. ასე გამოვედი პირველად პროფესიონალებში. მასსოვს, ჩემთან ერთად თავდასხმაში თამაშობდნენ დორვალი, ფიოტი, ზინიო და რამუნდინიო. მსაჯის საფინალო სასტენისას ანგარიში — 6:1 — ჩვენს სასარგებლოდ. აქედან 4 გოლის ავტორი მე გახლდით. შეხვედრის დასასრულს გავიგონე დიდი ხნის ნანატრი სიტყვები: პელებე, შენ „კობრა“ ხდები.

შტატის პირველობაზე გამართულ მატჩში „სან პაულუს“ წინააღმდეგ, ვასკონსელოს ფენი დაუშავდა. „სან პაულუს“ გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯლო-

# მ. კ. ე. მ.

მოლა, „სანტოსი“ საკუთარ მოედანზე დაემარცხებინა. სტადიონი გაიჭედა. გულშემოხატულად უმარჯვლესობა ჩვენს გუნდს თანაუგრძობდა. მე უბრალო „ტორსედორესავით“ ვიჯექი ტრიბუნაზე.

სან-პაულუსელები მართლაც კარგად თამაშობდნენ. ყველა ჩანაფიქრი გამოსდიოდათ. ჩვენმა გუნდმა ვერ იქნა და ვერ ააწყო თამაში. სანტოსელები განსაკუთრებით მაშინ დაიბნენ, როცა პირველი ბურთი გაეხვია ჩვენი კარის ბადეში. არც მასსოვს, მგონი 1:3-ზე ვაგებდით. ვასკონსელოსს ბედმა უმუხთლა. მან ბურთი პეპეს გაუჭრა, თვითონ „სან პაულუს“ საჯარიმო მოედანზე შეიჭრა, ბურთი თვითონვე მიიღო და უნდოდა პირდაპირ კარში დაეტყვა. ამ მომენტში წამოეწია მასოვს, დაეჯახნენ ერთმანეთს და ორივენი წაიქცნენ. მასოვს ვასკონსელოსს მძიმედ დაეცა ფეხზე. ვასკონსელოსი ვეღარც წამოდგა. ტკივილისაგან იკლანებოდა. შემფოთებული ფეხბურთელები მეგობარს შემოეხვივნენ. მაგრამ მასურებლები ერთმა ისიც კი დაიყვირა: „პეი, გაგებთ, თავს ნუ იკატუნებთ.“

მე ხომ ვიცოდი, ის თავს არ იკატუნებდა. ვასკონსელოსი მოედნიდან საკაცით გაიტანეს. „სანტოსი“ იძულებული გახდა 10 კაცით განეგრძო თამაში. „სან პაულუს“ უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

გასასდელში შევიდი. ლაპარაკობდნენ, ვასკონსელოსმა ფენი მოიტეხაო. მართალი გამოდგა. ვასკონსელოსი საავადმყოფოში წაიყვანეს.

მაშინ პირველად ვიგრძენი, თუ რა ბეჭეზე კიღია ფეხბურთელის ცხოვრება. ვასკონსელოსი — ბრანდიური ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენელი — „ტორსედორესების“ კერპი იყო. გულშემოხატებები დიდხანს ლაპარაკობდნენ ამ უბედური შემთხვევის გამო.

ვასკონსელოსი საავადმყოფოში მიტყავდათ. იგი გამუდმებით იმეორებდა: არა უშავს, ორ თვეში მოედანს დავებრუნდებიო. რამდენიმე თვის შემდეგ მართლაც დაუბრუნდა მწვანე მიწას, მაგრამ არა ის წინანდელი ვასკო... ბურთს წინანდებურად ვეღარ იმორჩილებდა. ვერ იქნა და ვეღარ ჩადგა ექსტრა-ფეხბურთელების რიგში.

ამ ამბავმა თვალი ამიხილა. ცხადად დამანახა დიდი საფრთხე, რომელიც ყოველ წუთში კვალდაკვალ დასდევს ფეხბურთელს.

(გაგრძელება. იხ. ურნ. „დროსა“ №№ 11, 12, 1962 წ.)



წერს თანამედროვე მწერლები... გარდა ჩვეულებრივი ვარჯიშისა, მწერლები კარგა ხანს მამულებს დასვენებენ...

გუნდი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაშიც მე მივიღე პირველი ოფიციალური ნათლობა... სტალინის „აიკი“ განხილდა...

— ვითომ შედეგები ასე კარგად თამაშობენ? — გვითხვებ პეპეს, როცა სტუმრები მოუდარებენ ჩვენს მოპირდაპირე მხარეზე გამჭვრეტელებს...

„აიკი“ გვარდანი ჯაფა დაგვყავს. გავიმარჯვეთ მინიმალური ანგარიშით 1:0. ამ ერთადერთ ბურთსაც უნდა შევადლოდეთ ფეიქოს, რომელმაც საჯარიმო დარტყმა მშვენივრად გამოიყენა...

სტალინის გვიან მოწოდებას ტურნირში მივიღე მონაწილეობა. იქედან „სანტოსის“ და „ვასილას“ დაგვამს... რჩეული მოთამაშეებისაგან შემიდგარ გუნდში მოვხვდი...

პირველსავე შეხვედრაში დავამარცხეთ რიო-დე-ჟანეიროს „ბელენენსე“ საკმაოდ სოლიდური ანგარიშით — 6:1 (სამი გოლი მე გავიტანე, ორი ალგაროე და ერთი პეპემ)...

მეორე მოწინააღმდეგე „სან პაულუ“ იყო. თამაში 1:1-ით დამთავრდა. ჩემს მიერ გატანილმა გოლმა „ფლამინგოსთანაც“ გადაგვარჩინა წაგებას...

ამგვარად მოვივიდეთ ფეხი ძირითად შემადგენლობაში. ეს კია, ხანდახან დღე ვეწიო და მე ვენაცვლებოდით ერთმანეთს. დღე ვწიო მაშინ ჯერ კიდევ არ გადაბარებულყოფი ვეროვამი...

„ერთხელ ბაურუში მშობლებთან ვისვენებდი რადიოში სპორტულ გადაცემას მოგვარი ყური. დიქტორი ნაკრებში მოხვედრილ მოთამაშეთა გვარებს ასახელებდა... ტანზე თითქოს ჭიანჭველებმა დამირბინეს...“

იმ წუთში მინდოდა შეგმობარეყავ, მეყვირა, ერთი სიტყვით, აღარ ვიცოდი, როგორ და რით გამოვხატა უსასწაურო სიხარული. შიშმა შემიპყრო: შევძლებ კი იმდენს, რომ ბრაზილიის ნაკრების ღირსება დავიცავ?

იმ დამს. თვალში არ მომიხუტავს. „სანტოსში“ თავს უშიშრად და დაჯერებულად ვგრძობდი. და აი, ერთგული ნაკრების ხელმძღვანელებმა გამომიძახეს. იქ, საქვეყნოდ აღიარებულ „კობრებს“ შორის, ისევე მდგომარეობა დამეფულა, ახლად შექმნილი მგობრები მამულებდნენ...

გადიოდა დღეები. მთელი მონდომებით ვემზადებოდი არგენტინის ნაკრებთან შესახვედრად. აპა, როგორც იქნა, დადგა დიდი ხნის ნანატრი თამაშის დღე. გასახდელში მწვრთნელს ველოდებოდი, რომელსაც გუნდის შემადგენლობა უნდა გამოეცხადებინა. მე არ დაუუსახელებია. ჩემი ადგილი მაცოლამ დაიჭირა...

ეს მოხდა 1957 წელს. „პარაკანას“ სტადიონზე ნემსიც ვერ გაძვრებოდა. არგენტინელები საუცხოოდ თამაშობდნენ, თუმცა ბრაზილიელ თავდამსხმელებს მაინც ჰქონდათ რაღაც უპირატესობა. სათადარიგო სკამზე ვიჯექი და თამაშს დაძაბული ვადევნებდი თვალყურს. ვხედავ, ჩემთან მობრის მასაჟისტი მართი ამერიკელი და სულმოუთქმელად მეუბნება: — აბა, ჩქარა! მაცოლა უნდა შეცვალო. იქნებ, შენ მაინც მოუთავო ხელი ამ არგენტინელებს!

მაცოლას მაგივრად მინდორზე გამოვედი. არგენტინელებს თამაში 1:0-ით მიპყავდათ. მაყურებლები მდღეობდნენ ელოდნენ საპასუხო გოლს. ამაოდ... თუ მესხიერება არ მზალატობს, შეტივია მარჯვენა ფრთაზე მიდიოდა. ვილაცამ ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩაიკა. რომელიღაც მოთამაშემ ბურთს შეუჩერებელი დაარტყა. არგენტინელმა მკარგე თავდაწირული ნახტომით მოიგერია. მე კარისაკენ შურდულივით გავიტყვი და ბურთიანად გავხვავი ბადეში.

სტადიონი გუზუნებდა. ამხანაგები მიცნენ, გადამხეხივნენ. სიხარულმა გამოგონა, მგონი სულელურად გავიდრიჯე კიდევ. გონს მხოლოდ მაშინ მოვეგე, როცა არგენტინელებმა თამაში განაახლეს. თვალწინ წარმომიდგა ბაურუ, მშობლები, მგობრები. რა ბედნიერები იქნებოდნენ ისინი ამ წუთში!

კვლავაც დაუოკებლად მივიწვედი მოწინააღმდეგის კარისაკენ. როგორ მინდოდა კიდევ ერთი გოლის გატანა... მაგრამ ბედის წყალობით იყო, თუ რით, არგენტინელებმა იმ დღეს მაინც დაგვარჩინეს. მეორედ სან პაულუში შეხვედით. ამჯერად მატჩის წინ არა მქონია შიშისა და გაურკვევლობის გრძობა. ვილაცამ ისიც კი მოთხრა, რომ თამაშში პირველი წუთებიდანვე ჩაებნებოდი. მართლაც ასე მოხდა. ბრაზილიის ნაკრები „პაკაემუს“ სტადიონზე გამჭვრეტედა. მე ჩემს ადგილზე ვიდექი. მეორე მატჩი შედარებით იოლად მოვიგეთ. მსაჯის საფინალო სასტუმროს ანგარიშში 2:0 იყო. პირველი გოლი მე გავიტანე, მეორე მაცოლამ. როცა თამაშს ბრაზილიაში დარჩა.


ში გაგვასწორე და იძულებული გახდით ჩემპიონის გვირგვინი მათთვის დაგვეთმო. ამ ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლი მე გავიტანე. 1957 წელსვე შემიყვანეს „სან პაულუს“ ნაკრებში. ნაკრები მონაწილეობდა ბრაზილიის ჩემპიონატში. აღარ ვღელავდი. ტურნირში გამარჯვება სან პაულუსებს დაევრჩა და მესამედ მოვიპოვეთ ბრაზილიის ჩემპიონის სახელწოდება.

მსოფლიო ჩემპიონატის ზღურბლზე

მას შემდეგ, რაც პირველად ჩავეცი ბრაზილიის ნაკრების ფორმას, შვეიციის მსოფლიო ჩემპიონატზე ვოცნებობდი. შვეიციაში წასვლის საკითხი წყვეტილია. გულში იმედი მიღვივდა. ბევრი რამ მახსოვდა იმ დროისა, რომელიც ბრაზილიამ 1950 წელს „მარაკანას“ სტადიონზე გადაიტანა. ურუგვაელებმა, საკუთარ სახლში, პირდაპირ თვალსა და ხელს შუა გამოგვლიჯეს მსოფლიო ჩემპიონობა. ეს დამარცხება მეც, როგორც ყველა ბრაზილიელ გულშემატკივარს, ძვალივით მაღდა ყელზე. გაიხსენე შვეიცარიის მსოფლიო ჩემპიონატიც, სადაც უნგრელებმა დაგვარჩინეს. იმხანად უნგრელებს ძლიერი გუნდი ჰყავდათ. შემდეგ ისინი დასავლეთ გერმანიის გუნდმა დაამარცხა და გამარჯვებამ დაწმუნებულმა, მათაც იგემეს ის მწარე წუთები, ბრაზილიელებმა რომ იშვინეს 1950 წელს.

გუნდში ბევრს ლაპარაკობდნენ პაულო მაჩადო დე კარვალოს გეგმაზე. ეს გეგმა მან ფოლასთან და სხვა მწვრთნელებთან ერთად შეიმუშავა. ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ იგი ჩვენი გამარჯვების გასაღები გახდებოდა. მასში გაითვალისწინეს ყველა შეცდომა, რომელმაც ბრაზილიელები წინა ჩემპიონატში დამარცხებამდე მიიყვანა.

დაიწყო წვრთნა. მწვრთნელები გულმოდგინედ ეძებდნენ საუკეთესო ვარიანტებს თავდასხმისა და დაცვის ხაზებისათვის. ბევრი მოთამაშე გამოისცადას. მეც და ჩემი მგობრებიც ვხედავდით, რომ საუკეთესო ვარიანტი ჯერ კიდევ რა ჩანდა. საწვრთნელ შვარცბაუხს არაქაშიმ გადავებრდით, იქ საუკეთესო პირობები შევქვივნეს დასვენებისა და ვარჯიშისათვის. უმნიშვნელო წვრილმანიც კი წინასწარ მოეფიქრებინათ. კბილის ექიმი რომ კბილის ექიმა, ისიც საკუთარი გვყავდა. იგი ფეხბურთელებს ისეთი სერიოზულობითა და გულმოდგინებით აგლეჯდა მტკივან კბილებს,



ბევრმა შეკრებიდან გაქცევაც გადაწყვიტა. მე მისთვის ჯაფა არ დამიყენებია. კბილები საკმაოდ სადი მაქვს. ჩვენი მეორე „მწვრთნელი“ ექიმი გოსლინგი ბრანდებოლი. გოსლინგი თავიდან ფეხებამდე დიდი გულისხმიერებით გვსინჯავდა. თუ ვინმეს რაიმე გაჩინდა სამკურნალო, დიდხანს არ უწევდა ლოდინი. ეს ყველაფერი ჩვენი მზადების გარკვეულ ნაწილს შეადგენდა. ბოლოს დადგა ის დღეც, როცა შვეიციაში გასამზადებელ მოთამაშეთა საბოლოო სია უნდა გამოქვეყნებულიყო. ბიჭების მდღეობებამ უმალეს წერტილს მიაღწია. არავის სჯეროდა, რომ სწორედ მას შეიყვანდნენ ნაკრებში: ყველა თავდამსხმელი ჩინებული ფეხბურთელი გახლდათ. ბოლოს, როგორც იქნა, გამოცხადდა შვეიციის სია. მე საქმე კარგად წამივიდა. მაგრამ ვცდილობდი, ჩემი გრძობები არ გამოემქვადნებინა: ვერიდებოდი გულნატკენთა განაწყენებას. იმ წუთებში ყველანი ნაღვლიანად გამოვიყურებოდით. თვითონ მაჩადო და ფოლაც კი. დარბაზიდან გამოვედი თუ არა თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოვიტყუებდი.

საპალალო მარცხი

საბოლოო საწვრთნელ მატჩში „კორინთიასთან“ მუხლი დავიშავე. — ნუთუ აღარ მომიწევს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება? ვფიქრობდი შემფთვებული. შიში უსაფუძვლო გამოდგა.


შვეიციაში გამზადების წინა დღეებში შინ წასვლის ნებართვა მივიღეთ... დადგა გამზადების წუთები. თვითმფრინავმა გეზი შვეიციაკენ აიღო. ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი: ნამდვილად მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ვხდებოდი. „კობრებთან“ თავს უცხოვად აღარ ვგრძობდი. მაცოლა, პეპე, გარინჩა, დიდი, ზაგალო, ზიტო, მაურო, — ყველა შინაურულ ატმოსფეროს ქმნიდა თავისი მხიარული განწყობილებით. ამ მეგობრულმა დამოკიდებულებამ მხნეობა შემემატა.

შვეიციაში ჩასვლამდე იტალიაში შევჩერდი. შემადგენლობის საბოლოო დადგენი-სათვის იქ ორი თამაში გვექონდა გათვალისწინებული. იტალიაში ჩასვლისთანავე რეპორტორებისა და ფოტოგრაფების კლანჭებში აღმოვჩნდი. ბრაზილიის ნაკრებმა პირველი დღიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დისციპლინითა და წესრიგით. არც ერთ ჩვენთანაგან არ უღალატნია წინასწარ დადგენილი წესებისათვის. თქვენ წარმოიდგინეთ, განაწყენებული შურნალისტებთან საუბარიც კი გათვალისწინებულია.


პირველი შეხვედრა „ინტერნაციონალსთან“ გვევლო. წინასწარ ვიცოდი, ვერ ვითამაშებდი, მუხლი შემიცვდა. გამარჯვება ბრაზილიელებს ხვდათ წილად. ამ მატჩის დაფორტივი იქნებოდა. მეორე შეხვედრამ ფლორენციის „ფიორენტინასთან“ მოგვიწვია. მატჩი ბრაზილიელთა დამარჯვებელი გამარჯვებით დამთავრდა. მე ამ თამაშზეც სათადარიგო სკამზე ვიჯექი და, ალბათ, ადვილად წარმოიდგენთ, რა ცუცხლშიც დავიწვევობდი. (გაგრძელება იქნება)

თარგმანი დალი კოპიასი

## კრთსვრდი



ინათა, ლუდხანაში ღამინათევი კა-  
ცი ბარბაციო გამოვიდა ქუჩაში.  
— ღმერთო ჩემო, — გოცებით  
წამოიძახა მან, — ეს რა უცნაური  
სუნია?  
— ეს სულთა ჰაერია! — აუხსნეს  
გამვლელებმა.



— თქვენ, როგორ ფიქრობთ, მო-  
მელის რაიმე ხაფრთხე, უცბად შავმა  
კატამ რომ გადამირბინოს გზაზე?  
— ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ  
ხართ თქვენ — ადამიანი თუ თაგვი.



— სად იშოვე ეს ვარდები? — მკა-  
ცრად იკითხა დედამ.  
— ბატონ ზიგმუნდის ბაღში  
— იცის მან ამის შესახებ?  
— რა თქმა უნდა იცის, იგი ხომ  
ნახევარი საათი მომდევნო უკან...



— მამაკითე მიხსი ვერ მოხდით  
შლიაბას? ბილეთში ერთი დოლარი  
მივეცი და მიინდა რაიმე დავინახო.  
— მე ამ შლიაპაში ოცი დოლარი  
გადავიხადე და მიინდა, რომ ყველამ  
დაინახოს იგი.

### საინტერესო თემაზე

საბჭოთა მეცნიერებმა დაამზადეს სისხლის... „ლურსმინები“, რომლებსაც ქირურგები  
წარმატებით იყენებენ ძვლის მოტეხილობათა მკურნალობის დროს.

„ლურსმინები“ მიღებული იქნა სისხლში ისეთი ნივთიერებების შერევით, რომლე-  
ბიც თავიანთი აგებულებით პლასტმასას ჰგვანან. სისხლის „ლურსმინი“ კარგად უძ-  
ლებს 200 კილოგრამამდე დაწოლას და თავისი სიმაგრით ადამიანის ძვალზე მტკიცეა.

მეცნიერებმა შეისწავლეს ფრინველის ემბრიონებზე რადიაციის მიკროდოზების მოქ-  
მედება. მათ დაადგინეს, რომ გასხივების შედეგად მნიშვნელოვნად ჩქარდება ბიოქიმი-  
ური პროცესები.

ინკუბაციის პერიოდში კვერცხებს რამდენჯერმე ჩაუტარეს 5-10 წუთიანი გასხი-  
ვების სეანსები. რადიოგამოსხივების მიკროდოზების მოქმედების შედეგად წიწილები  
12 საათით ადრე გამოიჩვენებენ.

გასხივების დახმარებით გამოჩვეული ქათამები უფრო გამძლენი არიან, მათი კვერ-  
ცხმდებლობა 7-10 პროცენტით მატულობს.

საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედე-  
გობის ინსტიტუტისა და ენერგეტიკის ინსტიტუტების ერთობლივი ძალებით შეიქმნა  
საბჭოთა კავშირში უძლიერესი სეისმური ბაქანი. ეს დანადგარი საშუალებას იძლევა  
ლაბორატორიულ პირობებში წარმოგვიჩინოს მიწისძვრის რხევები, რომლებიც უსუსტი  
ხელსაწყოებით ჩაიწერება. ბაქანზე თავსდება ნაგებობის მოდელი, რომელიც მიწისძვ-  
რის რხევებით დანგრევამდე დაიყვანება.

ასეთი გამოცდა საშუალებას გვაძლევს წინდაწინვე გავარკვიოთ მიწისძვრის ძალა,  
რომელსაც ესა თუ ის ნაგებობა გაუძლებს. სეისმური ბაქანის დახმარებით სპეციალის-  
ტები უფრო რაციონალურად დააგეგმარებენ სეისმური რაიონებისათვის გათვალისწი-  
ნებულ სხვადასხვა ნაგებობებს.

საბჭოთა ინჟინერმა ლ. დემიხოვსკიმ დაამზადა მარტივი მოწყობილობის აპარატი,  
რომელსაც დემიფონი უწოდა.

თუ თქვენ დაურევავთ ინჟინერს, რომელიც შინ არ იმყოფება, ავტომატურად ჩა-  
ერთდება დემიფონი და ყურმილში გაიკონებთ ხმას „მე შინ არ ვარ. მითხარით რა  
გნებათ, აპარატი გადმოცემს ყველაფერს“. შინ მისვლისთანავე ლ. დემიხოვსკი რთავს  
აპარატს, რომელიც აცნობებს, მთელი დღის განმავლობაში ვინ დაურეკა მას.

დემიფონი შეიძლება გამოვიყენოთ მსხვილ დაწესებულებებში. იგი დიდ დახმარე-  
ბას გაუწევს წარმოების ხელმძღვანელებსა და მათ მდივნებს.

გარეკანის პირველ გვერდზე: მხახიობი ლ. ელიავა მეგობრებს ულოცავს ახალ წელს. ფოტო მ. თურქიანი და მ. კოსტინისა. მეორე გვერდზე:  
ბავშვები სახალწლო ნაძვის ხესთან. ფოტო ბ. თიბანაძისა. მესამე გვერდზე: პლაკატი მხატვარ ბ. გორდელაძისა.

#### ვერტიკალურად:

1. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი,
2. დარგომიშვილის ოპერა, 4. ანსამბლი რვა შემსრულებლით, 5. ზოგიერთი სი-  
მებიანი საკრავის ნაწილი, 7. პერსონაჟი დ. თორაძის ბალეტის „გორდა“, 9. ბგე-  
რები განლაგებული სიმადლის მიხედვით, 10. აღმოსავლური საკრავი, 11. ზოგი-  
ერთი საკრავის ნაწილი, 13. სამი შემსრულებელი ან ნაწარმოები დაწერილი სამი  
საკრავისათვის, 16. პერსონაჟი ჩაიკოვსკის ოპერიდან „პიკის ქალი“, 17. დიდი  
იტალიელი კომპოზიტორი, 18. ნორვეგიელი კომპოზიტორი, 19. პერსონაჟი ჩაიკოვ-  
სკის ოპერიდან „პიკის ქალი“, 21. ცნობილი იტალიელი დირიჟორი, 22. ვ. დოლიძის  
ოპერა, 25. ჩასაწერი სპილენძის (ლითონის) საკრავი, 26. ქრომატიული ნიშანი,  
29. მაღალი ხმა, 30. ცნობილი საბჭოთა მუსიკათმცოდნე და კომპოზიტორი, 31.  
დიდი ქართველი კომპოზიტორი, 34. ბგერის ჩასაწერი ნიშანი, 35. მუსიკალური  
ნაწარმოების ზომა, 38. ტემპი მუსიკაში, 40. ვერდის ოპერა „ბალ-მასკარადის“  
გმირი, 42. იპოლიტოვ-განოვის ოპერა „დალატის“ პერსონაჟი, 47. აკორდის თან-  
მიმდევრობით შესრულება, 49. ქართული ხალხური საკრავი, 50. დიდი ქართვე-  
ლი მომღერალი, 51. ნელი ტემპი მუსიკაში, 55. ინტერვალი, 56. დიდი ჩეხი კომ-  
პოზიტორი.

#### ჰორიზონტალურად:

3. ქართული ხალხური სიმღერა, 6. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების  
სიჩქარე, 8. ჩასაბერი საკრავი, 9. ნოტი, მუსიკალური ფრაზა, ან მისი ნაწილი  
მოქცეული ორ ძლიერ დროს შორის, 14. მელიოდა, რომელიც საფუძვლად უდევს  
მუსიკალურ ნაწარმოებს, 15. დიდი გერმანელი კომპოზიტორი, 16. ბგერის გრძლივო-  
ბის გადიდების ერთ-ერთი სახე, 18. პერსონაჟი ჩაიკოვსკის ოპერა „ვევენი ონე-  
გინიდან“, 20. ორ მესობელ ბგერის თანმიმდევრობით სწრაფად შესრულება,  
23. რიმსკი-კორსაკოვის სიმფონია, 24. პერსონაჟი ჩაიკოვსკის ბალეტ „ვევენი ონე-  
გინიდან“, 27. მცირე ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, 28. ცნობილი ფრანგი კომ-  
პოზიტორი, 32. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ელფერი, 33. ცნობილი  
ქართველი კომპოზიტორი, 36. ნოტი, 37. აღმოსავლური ცეკვა, 39. პერსონაჟი ჩაი-  
კოვსკის ოპერა „ვევენი ონეგინიდან“ 41. ჩაიკოვსკის სახ. მუს. შემსრულებელთა  
კონკურსის ლაურეატი, 43. ნოტი, 44. პერსონაჟი ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალიდან“,  
45. სიმებიანი საკრავი, 46. პერსონაჟი გლინკას ოპერა „რუსლან და ლუდ-  
მილადან“, 48. ნოტი, 52. საკრავი, 53. ქრომატიული ნიშანი, 54. ტემპი მუსიკაში,  
56. პერსონაჟი ვ. დოლიძის ოპერიდან „ქეთო და კოტე“, 57. უდიდესი მანძილი ორ  
მესობელ ბგერას შორის, 58. ფრანგი კომპოზიტორი კლავენისტი, 59. საკრავი, 60.  
ვ. დოლიძის ოპერა.


რედაქტორი ა. ძიძიგური. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურშიშვილი, მ. სააკაშვილი,  
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯგაფარიძე.  
სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექნიკური დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.  
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ. ტელ. — რედაქციის 3-34-66, პ/მგ. მდივანის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/1-63 წ. წამომც. № 135, ჯად. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>2</sub>, 1,5 ჯად. ფურც. ნახევრი ფურც. 4,11. საბჭოთაო ფორმათა რაოდ. 4,79.  
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტარაჟი 22.000. შეკვ. № 2479, უფ 13016




სახანძრო იუმორი

კვლევა ფირცხალაძე

ქართული  
გრაფიკის  
სკოლა



ეჩქარება



-მოვილოცავთ ახალ წელს!

2/8.9/14.

ИНДЕКС 76056

პოლიტიკური  
ახალი წესი!



ქართული  
ბიბლიოთეკა

1963

